დიდება კოსმოსის გმირებს!

ხალხი გულში იხუტებს თავის სახელოვან შვილებს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 147 (12659)

კვირა, 23 ივნისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.



მოსკოვი. 22 ივნისი. 1963 წელი. ნ. ს. ხრუშჩოვი კოსმონავტებთან ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკისთან ვნუკოვოს აეროდრომზე.

ფოტო ვ. ახლომოვისა და ს. სმირნოვისა.

მოსკოვი ეგებება ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის

მოსკოვი ამ დღეს ელოდა იმ წუთიდან, როგორც კი რადიომ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ სამყაროს შეუტია ახალმა კოსმონავტმა ვ. თ. ბიკოვსკიმ, რომელიც ხომალდს „აღმოსავლეთი-5" მართავს. მოსკოველებს განსაკუთრებით უხაროდათ, ვალერი ბიკოვსკი ხომ მოსკოველი, მათი თანამოქალაქეა.

საოცარი აღტაცებით შეიტყო ყველამ რომ „ციურ ძმებს" „ციური და" — ვ. ვ. ტერეშკოვა შეემატა — მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი. ხომალდით „აღმოსავლეთი-6" ვალენტინა ტერეშკოვამ ვალერი ბიკოვსკისთან ერთად უმაგალითო კოსმოსური ფრენა განახორციელა.

გრანდიოზული კოსმოსური ეპოპეა წარმატებით დამთავრდა სწორედ იმ დღეებში, როცა კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომები მიმდინარეობდა. მისმა მონაწილეებმა — ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც პირველებმა შეიტყვეს კოსმონავტების მშვიდობით დაბრუნების შესახებ, გულითადად მიულოცეს მათ.

და აი დადგა 22 ივნისი. შესცქერი ჩვენს ძველთაძველ დედაქალაქს და გეჩვენება თითქოს გაახალგაზრდავებულა. ყველგან, როგორც დიდი დღესასწაულის დროს, ფრიალებს ალისფერი დროშები. ირგვლივ ლოზუნგები, პლაკატები, გმირი კოსმონავტებისადმი მისალმების სიტყვები. ზაფხულის წვიმით გადაბანული ლამაზად გამოიყურება ჩვენი მოსკოვი.

დილიდანვე ლენინის პროსპექტზე, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „კოსმონავტთა ტრასას", დაიძრნენ მანქანები ვნუკოვოს აეროდრომის მიმართულებით. სწორედ იქ, საჰაერო კარიბჭესთან გულთბილად დახვდა მოსკოვი გაბედულ საბჭოთა პატრიოტებს, რომლებიც კოსმოსიდან დაბრუნდნენ. სწორედ იქ უპატაკებენ ისინი კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხს ახალი დავალების შესრულების შესახებ, რომლის მიზანია კოსმოსური სივრცის შემდგომი შესწავლა.

ვნუკოვოს აეროპორტის ახალი მინის პავილიონის ფასადზე გამოკრულია ვ. ი. ლენინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ვ. თ. ბიკოვსკის, ვ. ვ. ტერეშკოვას პორტრეტები; ლოზუნგები მისალმების სიტყვებით იმათ მიმართ, ვინც ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა მეცნიერებაში, საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში.

აეროდრომის მინდორზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხვა მონაწილეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სსრ კავშირის, რუსეთის ფედერაციის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კოსმოსის დამპყრობთა შესახვედრად მოვიდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, კოსმონავტი მფრინავები **ი. ა. გაგარინი, გ. ს. ტიტოვი, ა. გ. ნიკოლაევი, პ. რ. პოპოვიჩი.**

მოგილოცავთ. თქვენს რიგებს კიდევ შეემატნენ კოსმონავტები, უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ხელი ჩამოართვა ოთხ „ციურ ძმას".

ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას შემხვედრთა შორის არიან ჩვენი შესანიშნავი მეცნიერები და კონსტრუქტორები, რომლებმაც შექმნეს კოსმოსური ხომალდები, უზრუნველყვეს მთელი რთული აპარატურის ზუსტი მუშაობა, კოსმოსიდან ხომალდების დაბრუნება საბჭოთა კავშირის გათვალისწინებულ რაიონებში. დღეს მძლავრი კოსმოსური ტექნიკის შემქმნელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, დიდი დღესასწაული აქვთ.

აქ არიან დიპლომატიური კორპუსების წევრები.

ყველა მოუთმენლად დასცქერის საათს. გინდა დრო ისევე სწრაფად მიჰქროდეს, როგორც „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6" დაჰქროდნენ ორბიტაზე. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებით მოუთმენლად არიან კოსმონავტების ნათესავები და ახლობლები.

რადიოთი აცხადებენ, რომ თვითმფრინავი ილ-18, რომელშიც კოსმონავტები არიან, აეროდრომს უახლოვდება. როგორც შევიტყვეთ, ვალენტინა ტერეშკოვამ და ვალერი ბიკოვსკიმ ამ მომენტში რადიოგრამა გაუგზავნეს მოსკოველებს, რომელშიც ნათქვამია, რომ მათი გული აღსავსეა დიდი სიხარულით, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ საუცხოო თვითმფრინავით ილ-18 ჩავლენ დედაქალაქში.

აი უკვე მძლავრმა რეპროდუქტორებმა გადასცეს ცნობა, რომ თვითმფრინავმა გადაუფრინა წითელ მოედანს და რეაქტიული ავიაგამანადგურებლების საპატიო ესკორტის თანხლებით კურსი აიღო ვნუკოვოს აეროდრომისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა მოტორების გუგუნი, და ცაში გამოჩნდა საჰაერო ხომალდი. შეხვედრის ყველა მონაწილემ თვალი მიაპყრო მას და ხელის ქნევით მიესალმა.

14 საათსა და 48 წუთზე აეროპორტის ბეტონის ბილიკზე ნარნარად დაეშვა ვეებერთელა ლითონის ფრინველი. ჟღერს საავიაციო მარშის მელოდია. თვითმფრინავს მიადგეს კიბე.

... ხოლო რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვიყავით იმის მოწმენი, თუ რა გულითადი შეხვედრა გაიმართა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებსა და კოსმონავტების ნათესავებს შორის.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი მივიდნენ ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას მშობლებთან და ნათესავებთან. ნიკიტა სერგის-ძე გადაეხვია და მაგრად აკოცა ვალერის დედას კლავდია ივანეს ასულსა და მამას — თევდორე ფედოტის-ძეს, ვალენტინას დედას — ელენე თევდორეს ასულს. მან გულითადად მიულოცა მათ, უსურვა ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე. ნიკიტა სერგის-ძემ ხელი ჩამოართვა ბიკოვსკის ცოლს ვალენტინას, მის დას — მარგარიტას, ტერეშკოვას და-ძმას — ლუდმილასა და ვლადიმერს. კლავდია ივანეს ასულმა ბიკოვსკაიამ და ელენე თევდორეს ასულმა ტერეშკოვამ მღელვარებით უძღვნეს მადლობა ნიკიტა სერგის-ძეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ეკითხება, როგორ გრძნობენ თავს, ძალიან ღელავდნენ თუ არა თავიანთი შვილებისათვის. „ვღელავდით, თუმცა ვიცოდით, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, — უპასუხა ელენე თევდორეს ასულმა. — ახლა ყოველივე ამან განვლო. ახლა ჩვენ ისე ვართ გახარებული და ბედნიერი, ენით გამოუთქმელია".

ნ. ს. ხრუშჩოვს გააცნეს იაროსლავლის კომბინატ „წითელი პერეკოპის" პარტკომის მდივანი ვალენტინა თევდორეს ასული უსოვა. ბუნებრივია, რომ იგი ამაყობს თავისი აღზრდილით.

... გაისმის მარშის ხმები. იღება ლაინერის კარი და პირველს ვხედავთ ვალია ტერეშკოვას. მას აცვია შავი კაბა-კოსტუმი. უკან კი მოჰყვება ვალერი ბიკოვსკი. ისინი ჩამოვიდნენ კიბით და წითელი ხალიჩის საფენით ტრიბუნისაკენ გაემართნენ. ორივე აღსავსეა ბედნიერებით. მწყობრი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ტრიბუნას. ყოველი მხრიდან კი გაისმის შეძახილები: „ვაშა!". მოსკოვის ქარხნების, ფაბრიკებისა და მშენებლობათა მშრომელები ერთსულოვნად გაიძახიან: „დიდება გმირებს!".

ნ. ს. ხრუშჩოვს პირველი უპატაკებს ვალერი ბიკოვსკი. მთელი მსოფლიო უსმენს მას ამ მომენტში. ვალენტინა ტერეშკოვა ვერ მალავს მღელვარებას და წარმოთქვამს პატაკის სიტყვებს. ორივე კოსმონავტი ამბობს, რომ წარმატებით დამთავრდა ხანგრძლივი ერთად ფრენა, რომ თავს ჩინებულად გრძნობენ და მზად არიან შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ახალი დავალება.

ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. გრიალებს სალუტი — აეროდრომის მინდორზე დადგმული ქვემეხების 21 ზალპი.

ნიკიტა სერგის-ძე მამობრივად გადაეხვია და აკოცა ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას. კოსმონავტებს გრძნობა მოერიათ, წარმოთქვამენ მადლობის სიტყვებს. აი ისინი უკვე გულში ჩაიკრეს მშობლებმა. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გულითადად მიესალმებიან გმირებს, მეგობრულად ართმევენ ხელს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ტერეშკოვა და ვ. ბიკოვსკი ტრიბუნიდან ჩამოდიან და მშრომელთა წარმომადგენლებისაკენ მიემართებიან. გაისმის შეძახილები: „ვაშა!", „ვალია! ვალიუშა!". ყველა ერთხმად გაიძახის — „ყო-ჩაღ! ყო-ჩაღ!". მოსკოველები მაღლა სწევენ ყვავილთა თაიგულებს, ალმებს.

მინის პავილიონის გავლით გმირები მანქანებთან მივიდნენ. ყვავილთა გირლანდებით მორთულ მანქანაში სხდებიან ნ. ს. ხრუშჩოვი, ვალერი ბიკოვსკი, ვალენტინა ტერეშკოვა, გმირების დედები და ვალერის ცოლი — ვალენტინა.

ხეებისა და ბუჩქების მწვანეში ჩაფლული ასფალტის გზებით ავტომობილები გზატკეცილზე გადიან. და კვლავ გრიალებს ოვაცია, გაისმის მისასალმებელი შეძახილები. ასე იყო დედაქალაქისაკენ მიმავალ მთელ 30 კილომეტრ გზაზე.

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, ახლო-მახლო დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების დამსვენებლები გამოვიდნენ გზაზე, რათა თავიანთი აღტაცებისა და სიამაყის გრძნობები გამოეთქვათ კოსმონავტებისათვის.

ავტომანქანების კოლონა გადის ხალხით სავსე ლენინის პროსპექტზე. ავტომანქანაში, რომელშიც სხედან ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. თ. ბიკოვსკი და ვ. ვ. ტერეშკოვა, ბაღისა და მინდვრის ყვავილთა ათობით თაიგულია. გმირთა მთელი გზა ყვავილებითაა მოფენილი.

ოცდაათი კილომეტრი ღიმილი და ყვავილები

მანქანები მიდიან კორიდორით, რომელიც წარმოქმნა ზღვა ხალხმა. შემხვედრთა შორის უამრავი ბავშვია. ისინი აქნევენ წითელ ალმებს, კოსმონავტების პორტრეტებს. სწორედ მათ უნდა მიიღონ კოსმოსის გმირთა ესტაფეტა და განაგრძონ მათ მიერ დაწყებული საქმე. მოზრდილები და ბავშვები ყველგან არიან — აივნებზე, სახლების ღია ფანჯრებში, ქუჩაში.

გზატკეცილის ახლო ბორცვზე მეტრომშენის მექანიზატორები არიან, მ. ბოგაჩოვის კომუნისტური შრომის ბრიგადა დგას. ისინი შრომობენ მეტროს ფრუნზეს რადიუსის ხაზის — „უნივერსიტეტის" სადგურიდან ვოსტრიაკოვომდე — —მშენებლობაზე. ბულდოზერისტი ანატოლი ვოლკოვი აღფრთოვანებით ამბობს:

—იმის აღსანიშნავად, რომ მოსკოვში ჩამოვიდნენ ჩვენი ძვირფასი კოსმოსელი გმირები, დღეს უზრუნველვყავი სამი ექსკავატორის შეუფერხებელი მუშაობა. ვამაყობ ჩემი სამშობლოთი, რომელმაც ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის დააკავშირა შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების საჭეები. რომ ჩვენმა კოსმონავტმა გმირებმა საუკუნეებში გაუთქვეს სახელი თავიანთ სამშობლოსა და ხალხს.

მიჰქრის დრო, ილევა კილომეტრები წითელი მოედნისაკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ როგორ სურს ახლა ყველას

(დასასრული მე-3 გვ.).

დარბაზობა კრემლში

მოსკოვი, 22 ივნისი. (საქინფორმი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამართეს დარბაზობა საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების თვალსაჩინო გმირობის აღსანიშნავად, რომლებმაც უზრუნველყვეს კოსმოსურ სივრცეში კოსმოსური ხომალდების მრავალი დღის ერთად ფრენის განხორციელება, კოსმონავტი მფრინავის ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკისა და მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, კოსმონავტი მფრინავები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოსკოვი, 22 ივნისი. (საქინფორმი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობაზე, რომელიც საბჭოთა ხალხის კოსმოსში ახალი გამარჯვების აღსანიშნავად გაიმართა, გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. თ. ბიკოვსკისა და ვ. ვ. ტერეშკოვასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მათ გადაეცათ ლენინის ორდენები და მედლები „ოქროს ვარსკვლავი", აგრეთვე სამკერდე ნიშნები „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი".

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. თ. ბიკოვსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-5" კოსმოსში ხანგრძლივი ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი" კოსმონავტ მფრინავს ამხ. ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კოსმონავტი მფრინავისათვის ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-6" კოსმოსში ხანგრძლივი ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი" მსოფლიოს პირველ კოსმონავტ მფრინავ ქალს ამხ. ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას და დაიდგას გმირის ბრინჯაოს ბიუსტი ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. თ. ბიკოვსკისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-5" ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვასათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-6" ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ივნისი.

კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6" მრავალი დღე-ღამის ფრენა წარმატებით დამთავრდა

გმირი კოსმონავტების პატაკები ნ. ს. ხრუშჩოვს ვნუკოვოს აეროდრომზე 1963 წლის 22 ივნისს

პატაკს იძლევა ვალერი ბიკოვსკი.

ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველო მდივანო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ!

მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალება შესრულებულია.

ხუთი დღე-ღამის ფრენა კოსმოსში წარმატებით დამთავრდა.

ხომალდის „აღმოსავლეთი-5" ყველა მოწყობილობა და მართვა შეუფერხებლად მოქმედებდა.

თავს ჩინებულად ვგრძნობ.

მზად ვარ ახალი ორბიტალური და საპლანეტათშორისო ფრენისათვის.

პოდპოლკოვნიკი ბიკოვსკი.

პატაკს იძლევა ვალენტინა ტერეშკოვა.

ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველო მდივანო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ!

ბედნიერი ვარ მოგახსენოთ, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საპატიო დავალება შესრულებულია.

კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-6" ფრენა წარმატებით დამთავრდა.

ხომალდის ყველა ხელსაწყო და სისტემა უნაკლოდ მუშაობდა.

თავს მშვენივრად ვგრძნობ.

მზად ვარ შევასრულო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ახალი დავალებანი.

კოსმონავტი ტერეშკოვა.

კოსმოსში ახალი დიადი გამარჯვება

სამშობლო ადიდებს კოსმონავტებს — ვ. ბიკოვსკის და ვ. ტერეშკოვას

ბიბლიოთეკა

ამხანაგ ვ. თ. ბიკოვსკის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!
ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ!
მეგობრებო!

ნება მომეცით უწინარეს ყოვლისა მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მიღებისათვის, გულთბილი მოლოცვებისათვის კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ მრავალი დღის ერთად ფრენის დამთავრების გამო.

თქვენი მუდმივი ყურადღება და გულითადი ზრუნვა ჩვენთვის, კოსმონავტებისათვის ის სასწაულებრივი ძალა იყო, რომელიც ღონეს გვმატებდა სამყაროს უსასრულო სივრცეებში, სულიერად გვამხნევებდა, განამტკიცებდა ჩვენს რწმენას, რომ წარმატებით დავამთავრებდით ხანგრძლივ კოსმოსურ ფრენას.

თქვენ კარგად იცით, რომ ჩემი ფრენის შესახებ კოსმოსიდან პირადად მოვახსენე ტელეფონით ნიკიტა სერგის ძეს და მისმა კეთილმა სიტყვებმა „გისურვებთ წარმატებით დაგემთავრებინოთ დასახული პროგრამით ფრენა და მშვიდობით დაბრუნებულიყოთ მშობლიურ მიწაზე“ ახალი ძალები შემმატა დავალების შესასრულებლად. და ახლა, როცა ამ ტრიბუნაზე ვდგავარ, ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მოვახსენო მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, ძვირფას ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს — დიადი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის დავალება, სამშობლოს დავალება წარმატებით შესრულდა.

დღეს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში—ძველთაძველ მოსკოვში საზეიმო და დაუვიწყარი შეხვედრის დღეს, უღრმეს, უგულითადეს მადლობას ვუძღვნი მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. საბჭოთა მთავრობას, რომ მრავალი დღის კოსმოსური ფრენის შესრულების დიდი პატივი მარგუნა მე — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წევრს.

კოსმოსში მივიღე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ცნობა, რომ ჩემი თხოვნა ლენინურ პარტიაში მიღების შესახებ განიხილეს და მე მიღებული ვარ საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის წევრად.

პირობას ვდებ, რომ სკკპ წევრის საპატიო წოდებას ღირსეულად გავამართლებ.

ძვირფასო ამხანაგებო, ისევე როგორც ყველა ჩემს მეგობარ კოსმონავტ მფრინავს, მეც კარგად მესმის, რომ ახლახან დამთავრებული ფრენა ჩვენი პირადი მიღწევა როდია.

როგორც პირველი გაფრენები კოსმოსში, ჩვენი მოგზაურობაც კიდევ ერთი კონკრეტული დადასტურებაა მთელი საბჭოთა ხალხის დიდი გმირობისა, იმ ისტორიული გმირობისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს მუშათა კლასის მოწინავე ადამიანებმა, დიდმა ლენინმა და მის მიერ შექმნილმა მძლავრმა, უძლეველმა კომუნისტურმა პარტიამ.

შემოქმედებითმა შრომამ და გენიამ ჩვენი ხალხისა, რომელსაც ლენინის დიადი პარტია ხელმძღვანელობს, უსაზღვრო სივრცეები გადაუშალა ჩვენს სამშობლოს. აი რატომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები მტკიცედ იბრძვიან მშვიდობისათვის. მაგრამ ჩვენი სამშობლოს ხალხები და მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალები ითვალისწინებენ იმპერიალისტების ხრიკებს და ფხიზლად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე, ინარჩუნებენ დიდ სიფხიზლეს და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას.

კიდევ და კიდევ ვუძღვნი გულთბილ მადლობას ჩემს ბრძნულ კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს, მადლობას ვუძღვნი ჩვენს შესანიშნავ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინიციატივიან და დაკვირვებულ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ნიჭიერ ოსტატებსა და მუშებს, სპეციალისტებს, რომლებიც გვასწავლიდნენ ჩვენ — მფრინავებს, ინჟინრებს, პარაშუტისტებს, ექიმებს — ყველას, ვინც ქმნიდა უგონიერეს მანქანებს, ვინც გვამზადებდა გასაფრენად და უზრუნველყოფდა ჩვენს უსაფრთხოებას, ვინც აღგვაფრთოვანა გმირობისათვის ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

დიდი, გულითადი მადლობა თქვენ!

მეგობრებო! ჩვენი ფრენა, როგორც იცით, ნორმალურად მიმდინარეობდა. სსრ კავშირის პირველმა კოსმონავტმა მფრინავებმა, ჩვენმა მეგობრებმა და ამხანაგებმა იური **გაგარინმა**, გერმანე **ტიტოვმა**, ანდრიან **ნიკოლაევმა** და პავლე **პოპოვიჩმა**, რომლებმაც კოსმოსური გზები გაკვალეს ვარსკვლავებისაკენ, ფასდაუდებელი გამოცდილება გაგვიზიარეს. ამ გამოცდილებით შეიარაღებული, მტკიცედ ვმოქმედებდით კოსმოსური ფრენის დროს.

ნიკოლაევისა და **პოპოვიჩის** ჯგუფური ფრენის შემდეგ განვლილ ათ თვეში საბჭოთა მეცნიერება გამდიდრდა ახალი მონაცემებითა და ახალი დასკვნებით. ამის შედეგად ჩვენი ფრენა მომზადდა და განხორციელდა კიდევ უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე. კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ფრენა ჩვენი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელი და სწრაფი ზრდის, კოსმოსის ათვისებაში მისი უდიდესი უპირატესობისა და პრიორიტეტის ახალი მკაფიო დადასტურებაა.

განსაკუთრებით სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი მარტოობა კოსმოსში ამინაზღაურა ორბიტაზე ისეთი მომხიბლავი თანამგზავრის გამოჩენამ, როგორიც არის ვალენტინა **ტერეშკოვა**.

ჩვენი შეხვედრა მოხდა ზუსტად დანიშნულ დროს და ზუსტად დანიშნულ ადგილას. ბედნიერ ვარსკვლავზე, როგორც ძველად ამბობდნენ ხოლმე. ეს იყო პირველი და არაჩვეულებრივი პაემანი, პაემანი კოსმოსში.

კოსმოსში ყოფნის 119 საათზე მეტ ხანს „აღმოსავლეთი-5“ ჩემთვის იყო სახლი და სამუშაო კაბინეტი, დასვენების ადგილი და ლაბორატორია. მაგრამ თავს როდი ვგრძნობდი სამშობლოს მოწყვეტილს. კოსმოსური კავშირი ჩინებულად მუშაობდა. არა მარტო ვიღებდი დედამიწიდან განკარგულებებს, ვაწარმოებდი ორმხრივ საუბარს საკომანდო პუნქტების ხელმძღვანელებთან, არამედ ვისმენდი რადიოთი „უკანასკნელ ცნობებს“, კონცერტებს, სპეციალურ გადაცემებს, ვისმენდი საბჭოთა ადამიანების ხმებსა და ჩემი მეგობრების ხმებს, ვიცოდი ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რაც პლანეტის ყველა კონტინენტზე ხდებოდა.

როცა ორბიტაზე გამოვიდა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-6“, რომელსაც მართავდა ჩემი ამხანაგი ვალენტინა **ტერეშკოვა**, „თოლიას“ სიგნალით დამყარდა და წარმოებდა მტკიცე რადიოკავშირი.

ხომალდმა „აღმოსავლეთი-5“ გაიარა სამი მილიონ სამასი ათას კილომეტრზე მეტი მანძილი.

ჩვენი ერთად ფრენა — ერთ-ერთი ეტაპია კოსმოსური სივრცის ათვისების გრანდიოზული მეცნიერული და სახალხო-სამეურნეო ამოცანისა, რომელიც გათვალისწინებულია სკკპ ისტორიული XXII ყრილობის მიერ მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით.

ყოველგვარი ცდა განზრახ გააჭუჭყიანონ კოსმოსური სივრცე — ააფეთქონ იქ ატომური ბომბები და გაუშვან მილიონობით სპეციალური ნემსი — აძნელებს კოსმოსის ათვისებას. აი რატომ არის, რომ მსოფლიოს ხალხები გადაჭრით გმობენ ამ მოქმედებას და ჩვენ, საბჭოთა კოსმონავტები, ვუერთდებით ამ ხმას.

ძვირფასო ამხანაგებო! კოსმოსური რეისი დავამთავრეთ იმ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიის იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. იგი დიდი მოვლენაა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში. სწორედ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ვუძღვნით ჩვენს ფრენას.

მე აღმაფრთოვანა ამ დაუვიწყარმა გულთბილმა შეხვედრამ. ხალხის სიყვარული ჩვენი შთაგონების წყაროა, გვმატებს ახალ ძალებს, დაუშრეტელ ენერგიას. და ჩვენ, საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები, არ დავრჩებით ვალში.

პირადად ჩემი სახელით და ყველა ჩემი კოსმონავტი ამხანაგის სახელით სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო მოსკოველებო, რომ მზად ვართ შევასრულოთ ჩვენი საყვარელი პარტიის, მშობლიური საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, შემოქმედთა და გმირთა ხალხს!

დიდება ბრძენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის ძე **ხრუშჩოვის** მეთაურობით!

ამხანაგ ვ. ვ. ტერეშკოვას სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!
მეგობრებო!
ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ!

დიდი აღფრთოვანების გრძნობით, სულით და გულით ვუძღვნი მადლობას კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ მე, საბჭოთა ქალს — იაროსლავლის საფეიქრო კომბინატ „წითელი პერეკოპის“ მუშას, გამიწიეს დიდი ნდობა — შემესრულებინა ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

ბედნიერი ვარ მოგახსენოთ, რომ კვლევის დასახული პროგრამა მთლიანად შესრულდა. კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-6“, რომელმაც 48-ზე მეტჯერ შემოუფრინა პლანეტა-დედამიწას და გაიარა დაახლოებით ორი მილიონი კილომეტრი, ისევე როგორც ხომალდმა „აღმოსავლეთი-5“, წარმატებით დაამთავრა თავისი ფრენა.

სტარტიდან მიწაზე დაშვების მომენტამდე შესანიშნავი ხომალდის ყველა სისტემა და აპარატურა შეუფერხებლად მუშაობდა. ფრენის დროს მშვენიერ გუნებაზე ვიყავი. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ არ შეიძლება აღელვება არ გამოეწვია ჩემში დიდ პასუხისმგებლობას, მომავალი კოსმოსური ფრენის ჯერ კიდევ განუცდელ გრძნობას. მაგრამ ჩვენი ტექნიკის საიმედოობის სრული რწმენა, სპეციალური წვრთნა და სწავლა, სამშობლოს წინაშე დიდი მოვალეობის გრძნობა დამეხმარა მომეკრიბა მთელი ძალღონე და ენერგია და შემესრულებინა დავალება ისე, როგორც კომუნისტს შეეფერება.

სამ დღე-ღამეს რომ ვიყავი სამყაროს მდუმარე სივრცეებში, საყვარელ სამშობლოსაგან დაშორებული, ყველა კონტინენტს, ზღვებსა და ოკეანეებს რომ გადავუფრინე, მე, ისევე როგორც ჩემი კოსმოსური ძმა ვალერი **ბიკოვსკი**, მარტო როდი ვიყავი. ჩვენ ვიცოდით, ყოველ წუთს ვგრძნობდით, რა უდიდესი ყურადღებითა და მღელვარებით ადევნებდა თვალს ჩვენს ფრენას ყველა საბჭოთა ადამიანი, ვგრძნობდით მათი გულის სითბოს, მათ მხურვალე სიყვარულს, გვესმოდა მათი კეთილი სურვილები. კომუნისტურმა პარტიამ, სამშობლომ, დიდმა საბჭოთა ხალხმა ძალა მოგვცეს და ფრთები შეგვასხეს ესოდენ რთული ფრენის განხორციელებისათვის. ნიკიტა სერგის ძე **ხრუშჩოვის** გულითადმა მამობრივმა საუბარმა ფრენის პირველ დღეს დიდად აღმაფრთოვანა და შთამაგონა მამაცობა და სახელოვანი შრომა დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ მე, მსოფლიოში პირველ ქალს, წილად მხვდა დიდი პატივი — განმეხორციელებინა ფრენა კოსმოსში. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვიქნები მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ხალხის მადლობელი, რომლებმაც გამზარდეს, აღმზარდეს და მომანდეს კოსმოსურ სივრცეებში წამეყვანა საუცხოო კოსმოსური ხომალდი.

ვამაყობ, რომ ვარ საბჭოთა კოსმონავტების სახელოვანი რაზმის წევრი.

კოსმონავტი გმირების იური **გაგარინის**, გერმანე **ტიტოვის**, ანდრიან **ნიკოლაევის**, პავლე **პოპოვიჩისა** და ვალერი **ბიკოვსკის** შემდეგ კოსმოსის შტურმს იწყებს საბჭოთა ქალი. ასე რომ ახლა კოსმოსშიაც არ იქნებიან მარტონი ჩვენი მამაკაცები. დაე იქაც იგრძნონ მათ ქალის მეგობრული მხარდაჭერა.

ძვირფასო ამხანაგებო, ჩემი თაობა დაიბადა, გაიზარდა და აღიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ჩვენი ცხოვრების იდეალები იყო და მუდამ იქნება უფროსი თაობის ადამიანების, კომუნისტთა გმირი არმიის საქმეები.

ჩვენ, ქალებს, აღგვაფრთოვანებდა პაშა **ანგელინას** თავდადებული შრომა, მარინე **რასკოვას** გმირობა, ზოია **კოსმოდემიანსკაიას** მამაცობა და უშიშარობა, ვალენტინა **გაგანოვას** და ნადეჟდა გრიგოლის ასულ **ზაგლადასა** და ბევრი, ბევრი სხვა საბჭოთა ქალის ღირსება და შრომისმოყვარეობა. მათი პატრიოტული საქმეები სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხისადმი უანგარო სამსახურის მაგალითებად მიგვაჩნია. ყოველი ჩვენგანისათვის არ არის უფრო მაღალი და მშვენიერი მიზანი, ვიდრე ის, რომ ვიყოთ სასარგებლო კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის.

ძალიან ხატოვნად და კარგად თქვა ნიკიტა სერგის ძემ, ჩვენში ადამიანი თავისი შრომით არის ლამაზი და სახელოვანიო. საბჭოთა ქალები ისწრაფვიან იყონ ამ დიდების ღირსნი. მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საქმეში, აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ენთუზიაზმით შრომობენ სახალხო მეურნეობაში, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის დარგში.

ფრენას რომ ვახორციელებდი, ვფიქრობდი იმაზე, რომ რაც შეიძლება უკეთ შემესრულებინა იგი, ჩემი წვლილი გამედო საყვარელი სამშობლოს სადიდებლად, მშრომელი ადამიანის ბედნიერებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის.

ჩვენთვის, ქალებისათვის, განსაკუთრებით ძვირფასია მშვიდობა. კარგად ვიცი, რა არის ომი. მამაჩემი დაიღუპა ფრონტზე, როცა საყვარელი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავდა. სამი ბავშვი დავრჩით დედას ხელზე, და ჩვენ განვიცადეთ ამ მძიმე დანაკლისის მთელი მწუხარება. მაგრამ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაგვეხმარნენ ფეხზე დავმდგარიყავით, იზრუნეს იმისათვის, რომ გავზრდილიყავით კომუნიზმის ღირსეული მშენებლები.

ჩვენში თვითეულმა ადამიანმა იცის, რომ ომი მილიონობით ადამიანის მწუხარება და ცრემლია. ჩვენ ომი არ გვჭირდება, საბჭოთა ადამიანები ეწევიან მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. აი რატომ იბრძვის მტკიცედ საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის, მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები ხმარდებოდეს ადამიანს, მის კეთილდღეობასა და ბედნიერებას.

მშვიდობისათვის ბრძოლაში უდიდეს როლს ასრულებენ ქალები. ამ დღეებში მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში, შეიკრიბებიან მთელი მსოფლიოს ქალთა წარმომადგენლები თავიანთ მსოფლიო ფორუმზე, რაც დიდი მოვლენა იქნება ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისათვის, ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ამ მაღალი ტრიბუნიდან ქალთა მომავალი მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს ვუსურვებ დიდ წარმატებებს მუშაობაში, მათ კეთილშობილურ ბრძოლაში ქვეყნად მშვიდობის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! როგორც უკვე ამხანაგმა **ბიკოვსკიმ** თქვა, დამთავრებულ ფრენას ვუძღვნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომლის გადაწყვეტილებანი უდიდეს როლს შეასრულებენ ახალი ადამიანის აღზრდაში, რომელმაც უნდა დაამთავროს კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული საქმე და იცხოვროს კომუნიზმის დროს.

დღეს საბჭოთა ადამიანები მეოთხეჯერ ხვდებიან სამყაროს შორეული სივრცეებიდან დაბრუნებულ კოსმონავტებს.

ჩვენი კოსმოსური ფრენა მთელი საბჭოთა ხალხის, კომუნიზმის მშენებელი ხალხის გმირობაა. ეს ფრენა მოწმობს დიდ სოციალურ-ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საგმირო საქმეთა გამარჯვებას, მშვიდობისა და პროგრესის ძალების გამარჯვებას რეაქციისა და ომის შავბნელ ძალებზე.

ფრენის დროს, მისი დაწყებიდან დასასრულამდე, არ გვაეჭვებდა ჩვენი ხომალდების საიმედობა, რადგან ვიცოდით, რომ ეს ხომალდები ნიჭიერი საბჭოთა ხალხის გენიისა და შრომის განსახიერებაა. ეს გვინერგავდა რწმენას, რომ წარმატებით დამთავრდებოდა ფრენა.

სულით და გულით ვუძღვნი მხურვალე მადლობას მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს — ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენი შესანიშნავი რაკეტებისა და კოსმოსური ხომალდების შექმნაში, ყველას, ვინც აღგვჭურვა და მოგვამზადა რთული კოსმოსური მოგზაურობისათვის, ვინც უზრუნველყო ჩვენთვის ამ პასუხსაგები დავალების წარმატებით შესრულება.

გულითად მადლობას გწირავთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, ყურადღებისა და მამობრივი ზრუნვისათვის, რასაც პირადად იჩენთ ჩვენდამი, საბჭოთა კოსმონავტებისადმი.

დიდი მადლობა, ძვირფასო მოსკოველებო, გულითადი შეხვედრისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის დაუცხრომელ მებრძოლს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვის** მეთაურობით!

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

კოსმონავტებთან ვალენტინა ტერეშკოვასთან და ვალერი ბიკოვსკისთან შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1963 წლის 22 ივნისს

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო მოსკოველებო და ჩვენი დედაქალაქის სტუმრებო!

თქვენ, ვინც ახლა უსმენთ წითელ მოედანს!

ჩვენო ძვირფასო გმირებო „თოლიავ“ და „ქორო“, ვალენტინა ტერეშკოვა და ვალერი ბიკოვსკი!

დღეს, ამხანაგებო, დიდი და სასიხარულო დღეა, ეს არის საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, აზრის, შრომისა და გმირობის გამარჯვების დიდი დღესასწაული! ჩვენ მხურვალედ მივულოცეთ ჩვენს ახალ კოსმოსის სახელოვან გმირებს ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვასა და ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკის.

ესენი ჩვენი შვილები, საბჭოთა ხალხის შვილები, მისი ახალგაზრდა თაობის შესანიშნავი წარმომადგენლები არიან. ესენი არიან ჩვენი კომუნისტური წრთობის ადამიანები. ჩვენ ყველანი ვამაყობთ, რომ ისეთი ახალგაზრდები, როგორიც ვალენტინა ტერეშკოვა და ვალერი ბიკოვსკია, სულ წინ და წინ, კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე წაიღებენ წითელ რევოლუციურ დროშას, რომელიც დიდი ოქტომბრის დღეებში ააფრიალეს მათმა მამებმა და დედებმა, უფროსმა ძმებმა და დებმა.

ნება მომეცით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, მოსკოველებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ და გულითადად მივულოცო გმირ კოსმონავტებს ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკისა და ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას პარტიისა და მთავრობის დავალების ბრწყინვალედ შესრულება და ბედნიერად დაბრუნება კოსმოსიდან ჩვენს მშობლიურ მიწაზე.

თქვენი გმირობა, ძვირფასო ვალერი თევდორეს-ძევ და ვალენტინა ვლადიმერის ასულო, საუკუნეებს გასწვდება და ვაჟკაცობისა და გაბედულობის უჭკნობი მაგალითი იქნება საბჭოთა ადამიანებისათვის დასახული მიზნის მისაღწევად ბრძოლაში.

ჩვენი გზა კოსმოსისაკენ მაშინ როდი დაიწყო, როცა პირველი მეცნიერები მიუსხდნენ სახაზავ მაგიდებს და ელექტრონულ მანქანებთან მივიდნენ, რათა შეექმნათ კოსმოსური ხომალდები, შეექმნათ მძლავრი ძრავები. ეს გზა იმაზე ადრე დაიწყო, სანამ ჩვენი კოსმოსის გმირები იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი, პავლე პოპოვიჩი, ვალერი ბიკოვსკი და პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა თავიანთ რთულ და პასუხსაგებ ვარჯიშს შეუდგებოდნენ.

ჩვენი გზა კოსმოსისაკენ მაშინ დაიწყო, როცა კოსმონავტების მამები და დედები, საბჭოთა ადამიანების უფროსი თაობა საფუძველს უყრიდნენ სოციალიზმს. დღეს ჩვენ პატივისცემით მივესალმებით ვალერი ბიკოვსკის დედ-მამას — თევდორე ფედოტის-ძესა და კლავდია ივანეს ასულს, ჩვენ მივესალმებით ვალენტინა ტერეშკოვას დედას — [illegible] მერ აქსიონის-ძის ხსოვნას, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაიღუპა. მათ აღზარდეს ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები, კოსმოსის გმირები. პატივი და დიდება მათ ამისათვის!

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩვენ ჯერ კიდევ არ ვისახავდით ისეთ გაბედულ ამოცანას, როგორიცაა კოსმოსის ათვისება, ვარსკვლავეთში გაფრენა. უფრო მეტად ჩვენ მაშინ ვფიქრობდით პირველ ტრაქტორზე, სანგრევ უროზე შახტისათვის, პირველ ავტომობილზე და ახალ მარტენის ღუმელებზე. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა იცოდნენ და სჯეროდათ, რომ დადგება დრო და ჩვენ ვარსკვლავეთში გავიჭრებით. სწორედ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობისათვის წარმოებდა საბჭოთა მიწის გიგანტური განახლება. სწორედ ამ აღმაფრენისათვის უწიგნურობის ლიკვიდაციის სასწავლებლებისა და მუშფაკების მერხებს მიუჯდა მილიონობით ადამიანი და ეუფლებოდა მეცნიერების ანბანს, ცოდნას, ესწრაფოდა პროგრესის მოელვარე მწვერვალებს. და, შესაძლოა, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს შრომითს დღეებში ყველაზე მნიშვნელოვანი არის იმის მტკიცე რწმენა, რომ ყველაფერი რაც ჩავიფიქრეთ, ყველაფერი რასაც ვოცნებობთ, აუცილებლად ახდება.

თანამგზავრი ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ბრწყინვალე ფრენა, რომლებსაც ოსტატურად მართავდნენ ვალერი ბიკოვსკი და ვალენტინა ტერეშკოვა, საბჭოთა ხალხის, მძლავრი სოციალისტური ეკონომიკის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი შესანიშნავი გამარჯვებაა, მნიშვნელოვანი ეტაპია კოსმოსის იერიშში.

გაიხსენეთ, ამხანაგებო, გამოჩენილი საბჭოთა მფრინავი ვალერი ჩკალოვი როგორ ოცნებობდა ოცდაათიან წლებში, რომ ძირდაუშვებლად შემოეფრინა დედამიწის გარშემო, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, „ბურთულის“ გარშემო. მაშინ ეს მხოლოდ გაბედული ოცნება იყო. ჩვენს მრეწველობას, მეცნიერებასა და ტექნიკას მაშინ ჯერ არ შეეძლოთ შეექმნათ ისეთი ხომალდი, რომელიც ძირდაუშვებლად შემოუფრენდა დედამიწას. სამაგიეროდ ახლა ვალერი ჩკალოვის სეხნია — ვალერი ბიკოვსკიმ 81-ჯერ შემოუფრინა პლანეტა დედამიწას, ვალენტინა ტერეშკოვამ კი 48-ჯერ. აი იგი, სოციალიზმის სასწაულებრივი ძალა.

ზღაპრულ საქმეებს სჩადის ჩვენი ხალხი დღეს. ზღაპრული გაფრენა განახორციელეს ვალერი ბიკოვსკიმ და ვალია ტერეშკოვამ. ვალერიმ ბრწყინვალედ განაგრძო თავისი კოსმოსური ძმების დიდება, ხოლო ვალენტინა — შესანიშნავი საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელი — მსოფლიოში პირველი ქალია, რომელმაც ვარსკვლავეთიდან გადმოხედა დედამიწას. პატივი და ქებათა ქება კოსმოსის გმირებს!

თანამგზავრი ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ფრენის მთელი დღეების განმავლობაში ჩვენ ჰაერის ოკეანეს სიღრმიდან ვისმენდით კეთილ ამბებს. კოსმონავტების მხნე სიტყვებს „კარგია!“, „შესანიშნავია!“, „საუკეთესოა!“. ამ აღფრთოვანებული სიტყვებით გამოთქვამდნენ ისინი, თუ როგორ გრძნობდნენ თავს, აფასებდნენ თანამგზავრი ხომალდების ურთულესი აპარატურის ზუსტ და შეუფერხებელ მუშაობას.

დიახ, ჩვენი თანამგზავრი ხომალდები ნამდვილად დიდებული მფრინავი ლაბორატორიებია, ჭეშმარიტად XX საუკუნის სასწაულია, მასში აისახა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენია, მისი უნარი და ოსტატობა.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით გულითადად მივულოცო მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, ყველას, ვინც თავისი გონება და შრომა მოახმარა შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების შექმნას, მივულოცო ყველას, ვინც უზრუნველყო ეს რთული გაფრენა.

ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ წარმატებებს გისურვებთ მეცნიერების, რაკეტული ტექნიკის განვითარებაში, სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ჩვენ ვიცით და მტკიცედ გვჯერა, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი სასტარტო მოედნებიდან კიდევ უფრო სრულყოფილი კოსმოსური ხომალდები გაფრინდებიან კოსმოსში, რომლებსაც საბჭოთა კოსმონავტები მზის სისტემის პლანეტებისაკენ წაიყვანენ.

ზღაპრული გაფრენა, რომლის გმირებს დღეს პატივისცემით ესალმება ჩვენი ქვეყანა, ისეთი ზღაპარი როდია, რომელშიც ყველაფერი ადვილად და ნატვრისთვალის დახმარებით კეთდება. ჩვენმა შესანიშნავმა მეცნიერმა ციოლკოვსკიმ, მეცნიერების მშრომელმა, რომელიც ვერ მოესწრო ასეთი ფრენების მოწყობასა და თავისი ოცნების განხორციელებას, სიკვდილამდე ცოტახნით ადრე ითხოვა გადაეცათ პარტიის მოსკოვის კომიტეტისათვის, თუ როგორ ესმის მას საბჭოთა ადამიანის სახე, ისეთი ადამიანისა, რომელსაც დიადი საქმეების უნარი შესწევს. იგი ამბობდა: „მხოლოდ ადამიანები, მშრომელი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები ქმნიან ახალ ცხოვრებას. მე მთელი სიცოცხლის მანძილზე, — ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, — ახალ გამარჯვებებსა და მიღწევებს ვესწრაფვი. აი რატომ არის, რომ მარტო ბოლშევიკებმა გამიგეს“.

ჩვენმა ძვირფასმა კოსმონავტებმა ვალენტინა ტერეშკოვამ და ვალერი ბიკოვსკიმ, ისევე როგორც მათმა კოსმოსურმა ძმებმა, სავსებით გაამართლეს ციოლკოვსკის ოცნება. ისინი სწორედ ის მშრომელი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები არიან, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ისინი არიან კომუნისტები, ბოლშევიკთა ლენინური გვარდიის ერთგული მემკვიდრენი.

პარტიაზე, დიად სამშობლოზე ფიქრით განახორციელეს ჩვენმა უშიშარმა კოსმონავტებმა თავიანთი ფრენა. გულის კარნახით თქვენ, ვალერი თევდორეს-ძევ, კოსმოსის სიღრმიდან მოგვმართეთ და გვთხოვეთ, რომ ლენინური პარტიის რიგებში მიგვეღეთ, ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ეს თხოვნა და მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად თქვენი მიღების შესახებ. მხურვალედ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას თქვენს ცხოვრებაში. კოსმოსში გმირული საქმეებით თქვენ თავი გამოიჩინეთ როგორც ნამდვილმა კომუნისტმა, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი დაბრკოლება დასახული მიზნის მიღწევის გზაზე. და ჩვენთვის, უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის, ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს შორის, ბოლშევიკთა გვარდიაში, არიან კომუნისტები, რომლებიც პარტიის რიგებში მივიღეთ კოსმოსში ფრენის დროს.

თქვენი ერთად ფრენა დაემთხვა პარტიის ლენინური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებს, რომელმაც განიხილა იდეოლოგიური მუშაობის, ყველა საბჭოთა ადამიანის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხები. პლენუმის მონაწილენი აღფრთოვანებით მოგესალმნენ თქვენ, კოსმოსის გმირებს!

ჩვენ ვულოცავთ ლენინურ კომკავშირს, რომლის რიგებშიც აღიზარდნენ ვალენტინა ტერეშკოვა და ვალერი ბიკოვსკი. არის ერთი შესანიშნავი თვისება, რომელიც აკავშირებს ვალენტინა ტერეშკოვას, ვალერი ბიკოვსკის, იური გაგარინს, გერმანე ტიტოვს, ანდრიან ნიკოლაევსა და პავლე პოპოვიჩს. ესენი არიან ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანები, კომკავშირის აღზრდილები, კომუნისტები. დიდ საიდუმლოებას არ გავამჟღავნებ, თუ ვიტყვი, რომ კოსმოსურ ხომალდებსაც, მათ ძრავებსაც, საწვავსაც, უმთავრესად, ახალგაზრდები ქმნიდნენ, ისინი შრომობენ გამოცდილ, ცხოვრებით დაბრძენებულ მუშებთან, მეცნიერებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან ერთად.

ამ თაობას გადასცემენ მამები რევოლუციური საქმეების, საბჭოთა ხელისუფლების მოპოვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ესტაფეტს. ასეთ შვილებს გადასცემენ უფროსი თაობის ადამიანები ესტაფეტს, რათა მათ ატარონ იგი სულ წინ და წინ, განაგრძონ დედებისა და მამების საქმე, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბერში

(დასასრული მე-3 გვ.).

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, კოსმონავტების ნათესავები, მეგობრები ულოცავენ გმირებს დედამიწაზე წარმატებით დაბრუნებას.

ფოტო ს. სმირნოვისა და ვ. ახლომოვისა.

ხალხის შემოქმედებითი გენიის ზეიმი

ხალხის მადლობა შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების შემქმნელებს!

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

დაიწყეს ბრძოლა კომუნიზმის გამარჯვებისათვის. და ასეთი შვილები, რომლებიც მზად არიან ჩაიდინონ გმირობა, მსგავსი ჩვენი კოსმონავტების გმირობისა, და რომლებიც შენატრიან მათ, — მილიონობით გვყავს. ესენი არიან ნამდვილი გმირები, ჩვენი შვილები, რევოლუციური თაობა, ღირსი თავისი მამებისა.

აი თაობათა კონფლიქტიც, რაზედაც ასე ჩხავიან ჩვენი უცხოელი მტრები. მე ვიტყოდი, რომ ეს თაობათა კონფლიქტი კი არ არის, არამედ მოხუცებისა და ახალგაზრდების—ყველა საბჭოთა ადამიანის ერთობლივი დიდებული შრომაა, რომლებიც ერთ საერთო, ლენინურ გზას ადგანან.

დღეს, როცა ჩვენ საქვეყნოდ პატივს ვცემთ ვარსკვლავეთის ახალ გმირებს, საბჭოთა კოსმონავტებს ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის, ერთხელ კიდევ უნდა ვთქვათ: დიდება საბჭოთა მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას! დიდება საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას!

ჩვენ დღეს პატივს ვცემთ ვალერი ბიკოვსკის, კოსმოსური ცის მამაც დამპყრობს. მხურვალედ ვულოცავთ ვალერი თევდორეს ძის ცოლს — ვალენტინა მიხეილის ასულს. ბევრი მღელვარე და მშფოთვარე დღე და ღამე გადაიტანა მან. როცა ყურს უგდებდა ცნობებს კოსმოსიდან, სადაც ვალერი თევდორეს ძე დაფრინავდა. მან დაამყარა კოსმოსური ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი: მისმა ხომალდმა 119 საათში გაიარა 3 მილიონ 300 ათას კილომეტრზე მეტი.

დიდი კმაყოფილებით ვაცხადებ, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება პოდპოლკოვნიკ ვალერი თევდორეს ძე ბიკოვსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და მიანიჭა მას კოსმონავტი მფრინავის წოდება. ნება მიბოძეთ მხურვალედ მივულოცო მამაც კოსმონავტს ეს მაღალი და დამსახურებული ჯილდო.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მას მიენიჭა აგრეთვე კოსმონავტი მფრინავის წოდება. საუკუნეებში რომ დარჩეს ჩვენი შესანიშნავი სახელოვანი ქალიშვილის სახე, რომელიც მსოფლიოს ქალთა შორის პირველია და ისტორიაში პირველად აფრინდა კოსმოსში, საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა აგოს მოსკოვში გმირის ბრინჯაოს ბიუსტი.

ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით გულითადად ვულოცავ ვალენტინა ვლადიმერის ასულს სამშობლოს მაღალ ჯილდოს!

ჩვენმა ძვირფასმა და მამაცმა ვალიამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ რეკორდს კოსმოსური ფრენის ხანგრძლივობით. მისი ფრენა მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე კოსმოსში დაჰყო ყველა ამერიკელმა კოსმონავტმა ერთად. ესეც თქვენი „სუსტი“ ქალთა სქესი. ვალიამ ვარსკვლავეთში გაატარა 71 საათი, ამ ხნის მანძილზე გაიარა დაახლოებით ორი მილიონი კილომეტრი, 48-ჯერ შემოურა დედამიწას გარშემო.

როცა ჩვენ დღეს პატივს ვცემთ ვალენტინა ვლადიმერის ასულის გმირობას, უნებურად გვახსენდება დიდი პოეტის ნეკრასოვის ლექსი რუსი ქალების შესახებ:

რუსთა სოფლებში არიან ქალნი
სერიოზულ და წყნარ იერითა,
მოქმედებაში მშვენიერ ძალით
დედოფლის სვლით და მისი მზერითა...
თამაშში სჯობნის ცხენოსნის
მხნე გულს,
ჭირშიც გიშველის, შენთან იქნება:
წამს შეაჩერებს ცხენს გაჭენებულს,
ქოხს ალმოდებულს არ შეუკრთება!

ასე ამბობდნენ ჩვენი ქალების შესახებ მრავალი წლის წინათ, როცა ქალების ცხოვრება მეფის რუსეთში უუფლებო და მძიმე იყო, როცა, როგორც ნეკრასოვი წერდა:

მძიმეა ხვედრი ბედ-იღბალისა —
ხვდა იგი ქალსა რუსთა მხარისას.

რაოდენ შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ქალთა ხვედრი! ახლა მათ, ხატოვნად რომ ვთქვათ, შეკაზმეს კოსმოსური ცხენი და ამის მაგალითია ვალენტინა ტერეშკოვას გმირობა.

ვალენტინა ვლადიმერის ასულის სახელი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო ისტორიაში. მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სოციალიზმის მიერ აღზრდილი ქალი ხალხის ყველა საქმეში მუდამ მამაკაცის გვერდითაა: თავდადებულ შრომაშიც და გმირობაშიც, რომელიც მსოფლიოს ანცვიფრებს. ახლა საქმე ჩვენს პოეტებზეა, რომლებიც მოწოდებული არიან ღირსეულად შეასხან ხოტბა საბჭოთა ქალების გმირობას.

როცა ვალენტინა ტერეშკოვას ბედზე ვფიქრობთ, უნდა ითქვას, რომ მას ჰყავდა მაგალითის მიმცემი. იგი არის განსახიერება მეტყვიამფრქვევე ანკას და სამოქალაქო ომის ათასობით ასეთივე სახელოვანი გმირის ნებისყოფისა და მამაცობისა! სწორედ იგი განასახიერებს პირველი ხუთწლედების ცნობილი მქსოველის დუსია ვინოგრადოვას შეუპოვრობასა და გამჭრიახობას — მით უმეტეს, რომ ვალიაც ხომ ფეიქარია, ასე ვთქვათ, ამ კოჰორტიდან არის! მას აქვს პაშა ანგელინასა და სოციალიზმის, კომუნიზმის მრავალი ათეულ ათასობით ასეთი თავდადებული მშენებლის შეუპოვრობა და ენერგია! მასში მკაფიოდ განსახიერებულია მარინე რასკოვას გამბედაობა და გმირობა, დიდი სამამულო ომის უკვდავი გმირების ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, რომელსაც პარტიზანები ალერსით თოლიას უწოდებდნენ, და ბევრი სხვა გმირისა სამშობლოს და კომუნიზმის საქმის ერთგულება.

ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას ბიოგრაფია ისევე, როგორც ვალერი თევდორეს ძე ბიკოვსკისა, ხალხის წიაღიდან, მშრომელთა ოჯახებიდან გამოსულ ადამიანთა ბიოგრაფიაა, როგორიც მილიონობით გვყავს.

ადვილი როდი იყო ვალენტინა ვლადიმერის ასულის ბავშვობა. სამი წლიდან უმამოდ იზრდებოდა, რომელიც მამაცთა სიკვდილით დაიღუპა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში.

უდიდესი პატივისცემის გრძნობით მინდა დიდი და გულწრფელი მადლობა ვუძღვნა ჩვენი გმირის დედას — ელენე თევდორეს ასულ ტერეშკოვას, იაროსლავლის საფეიქრო კომბინატის „წითელი პერეკოპის“ მუშაკს. შესანიშნავი ქალიშვილი აღზარდეთ თქვენ, ელენე თევდორეს ასულო. თქვენი ვალენტინას, და ახლა უკვე არა მარტო თქვენი, არამედ ჩვენი საყოველთაო სახალხო გმირის სახელი ისტორიაში შევა და მას სიყვარულით წარმოთქვამს მთელი კაცობრიობა.

არა, ბატონო დასავლეთელო იდეოლოგებო, თქვენს რჩეულთა, მდიდართა პანსიონატებში არ იზრდებიან ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ვალია ტერეშკოვა და ვალერი ბიკოვსკი, როგორიც არის მილიონობით სხვა საბჭოთა გმირი: ყამირის ათვისების გმირები, ახალი ელექტროსადგურების, ქარხნებისა და ქალაქების, რკინიგზებისა და მაღაროების მშენებლები. ასეთი გმირები ჩვენი შემოქმედებითი საბჭოთა ცხოვრების შრომითა და სიხარულით იზრდებიან. ისინი განაგრძობენ ამ ცხოვრებას, განადიდებენ მას თავიანთი საგმირო საქმეებით.

დღეს, როცა საბჭოთა კოსმონავტების რიგებს ახალი გმირები შეემატნენ, როცა ჩვენ ერთხელ კიდევ დავუმტკიცეთ მსოფლიოს, თუ რა ძალუძს საბჭოთა ხალხს არა მარტო დედამიწაზე, არამედ ცაშიც, ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ მთელ კაცობრიობას: მოდით მეცნიერების დიადი მიღწევანი მივუძღვნათ მშვიდობის საქმეს, ხალხთა ბედნიერების საქმეს.

ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ—როცა საბჭოთა კავშირი მოითხოვს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, როცა ჩვენ მოვითხოვთ, რომ მშვიდობიანად გადაიჭრას სადავო საერთაშორისო საკითხები, როცა დაბეჯითებით და მოთმინებით უსხედან საბჭოთა წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდას და განმარტავენ, მტკიცედ ახორციელებენ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას—ყოველივე ეს ხდება არა იმიტომ, რომ სუსტია საბჭოთა კავშირი, არამედ იმიტომ, რომ იგი ძლიერია, დარწმუნებულია ჩვენი დიადი საქმის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფელი იდეების სიმართლეში.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ გამოვიყენოთ კოსმოსური სივრცე მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. გამალებული შეიარაღების გავრცელებას კოსმოსის ფარგლებში შეიძლება მოჰყვეს კიდევ ერთი მეტად საშიში საფრთხე მთელი მსოფლიოსათვის. კოსმოსური სივრცე უნდა იყოს მშვიდობის ზონა, ხალხთა თანამშრომლობის სფერო. ჩვენ მივესალმეთ, როცა კოსმოსში აფრინდნენ ამერიკელი კოსმონავტები. ეს კეთილმობილური და ღირსეული პარტნიორობაა შეჯიბრებაში კოსმოსის მშვიდობიანი ათვისებისათვის.

ჩვენ მივმართავთ დედამიწის ყველა ადამიანს. დიადი გმირობა საბჭოთა კოსმონავტებმა ჩაიდინეს. თავიანთი გმირობით მათ დაადასტურეს, რომ ადამიანი საათნახევარში უკვე შემოუფრენს მთელ დედამიწას. დიდია დედამიწა, მაგრამ ამავე დროს მეტად პატარაც არის იმისათვის, რომ მოვაწყოთ დედამიწაზე ინტრიგები, პროვოკაციები, გავაღვივოთ სამხედრო ავანტიურები, რომლებსაც თანამედროვე ატომური იარაღის პირობებში შეუძლია აურაცხელი უბედურება მოუტანოს კაცობრიობას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს მშვიდობას. იგი ყოველ ღონეს ხმარობს მშვიდობის განმტკიცებისათვის დედამიწაზე. ყველას, რა თქმა უნდა, კარგად ესმის, რომ თუ საბჭოთა კავშირს აქვს ისეთი რაკეტები, რომლებიც განსაცვიფრებელი სიზუსტით დაფრინავენ დედამიწის გარშემო, მაშასადამე საბჭოთა კავშირს აქვს სხვა დანიშნულების რაკეტებიც.

ჩვენ აღვნიშნავთ ამას კიდევ იმიტომ, რომ დღეს შესრულდა ოცდაორი წელი მას შემდეგ, რაც ჰიტლერელთა ურდოები ვერაგულად შემოიჭრნენ საბჭოთა კავშირში და თავს მოახვიეს მას გამანადგურებელი ომი. საბჭოთა ხალხმა დაიცვა სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, სხვა ხალხებთან ერთად იხსნა მსოფლიო ფაშისტური ჭირისა და დამონებისაგან. წარსული ომის ისტორიამ, ჭრილობებმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოშუშებულა მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის გულში, უნდა მოუწოდოს მსოფლიოს ყველა ადამიანს ფხიზლად იყვნენ, ხოლო სახელმწიფოთა მთავრობებს — გამოიჩინონ კეთილგონიერება.

ჩვენ გულითად მადლობას ვუძღვნით ყველა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის ყველა კოლექტივსა და მოქალაქეს, მსოფლიოს ყველა ადამიანს, რომლებმაც მისალმება გამოგვიგზავნეს, ყველას, ვინც იზიარებს ჩვენს სიხარულს და გამოთქვამს კეთილ გრძნობებს ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას გმირობის გამო საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კოსმონავტებისადმი.

ამხანაგო მოსკოველებო!

ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა სამშობლოს მოქალაქენო!

მთელი მსოფლიოს ადამიანებო!

ახალი საბჭოთა კოსმონავტების, კოსმოსის გმირებისა და დამპყრობლების პატივისცემის ამ საზეიმო და სასიხარულო დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: ჰეიცე საუკუნის მეორე ნახევარმა კაცობრიობას შეიძლება უდიდესი მიღწევები მოუტანოს მეცნიერული, ტექნიკური და სოციალური პროგრესის დარგში. მოდით განვამტკიცოთ მსოფლიოს ხალხთა მეგობრობა. დაე კეთილი ნების ადამიანებმა იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ყველა ხალხის ბედნიერებისათვის.

დიდება საბჭოთა გმირ კოსმონავტებს!

დიდება ჩვენს თოლიას, მსოფლიოს პირველ კოსმონავტ ქალს ვალენტინა ტერეშკოვას!

დიდება კოსმოსური ფრენის მსოფლიო რეკორდსმენს — ვალერი ბიკოვსკის, კომუნისტური პარტიის წევრს, რომელიც კოსმოსში ყოფნის დროს არის მიღებული პარტიაში!

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, მუშებს — კოსმოსის დამპყრობი სასწავლო ხომალდების შემქმნელებს!

დიდება საბჭოთა ხალხს, მშრომელ და გამარჯვებულ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს!

მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში!

კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

მოსკოველები მიესალმებიან წითელი მოედნისაკენ მიმავალ საზეიმო კორტეჟს.

ფოტო ს. სმირნოვისა და ვ. ახლომოვისა.

მოსკოვი ეგებება ვალენტინა ტერეშკოვას და ვალერი ბიკოვსკის

(დასასრული)

ვინც პროსპექტებსა და მოედნებზე გამოვიდა, რაც შეიძლება დიდხანს უყუროს ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის სახეებს, სამუდამოდ დაიმახსოვროს ისინი, რათა შემდეგ უამბოს ყველა მეგობარს, ყველა ნაცნობსა და შთამომავალს, საკუთარი თვალით ვნახე მსოფლიოს პირველი მამაცი კოსმონავტი ქალი და დიდი მამაცი გულის პატრონი ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანიო.

ათასობით ადამიანი ჩამწკრივებულა მაგისტრალის გასწვრივ. ამ ცოცხალ კორიდორში მარტო მოსკოველები როდი არიან, თუმცა ისინი ახლა განსაკუთრებით ამაყობენ — ვალერი ბიკოვსკი ხომ პირველი მოსკოველია კოსმოსის დამპყრობთა შორის. გმირებს ტაშს უკრავენ ტაჯიკეთის ტაშმატ ამანოვი, აბდუსატარ ხაკიმოვი, ბათურ ახმედოვი, რომლებიც შვებულებით ჩამოვიდნენ მოსკოვში, რათა კოსმონავტები ენახათ. ჯერ კიდევ სამი საათით ადრე, როცა აქ უნდა გაევლო საზეიმო ესკორტს, პროსპექტზე მოვიდნენ ქალაქ ვლადიმირის მოსწავლეები. ისინი ლაშქრობაში იყვნენ, მოიარეს ვლადიმირის, რიაზანისა და მოსკოვის ოლქები, ხოლო როცა შეიტყეს, რომ კოსმოსში გაფრინდნენ ვალერი ბიკოვსკი და ვალენტინა ტერეშკოვა, მიიღეს გადაწყვეტილება — აუცილებლად ჩასულიყვნენ მოსკოვში, რათა ენახათ ისინი.

— შესანიშნავია, გრანდიოზულია, — გამოხატავს თავის აღტაცებას ხალხში მდგომი ბ. ქარიკოვი — მეტრომშენის ერთ-ერთი ტრესტის მთავარი ინჟინერი, ტრესტისა, რომლის მუშები აშენებდნენ დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ რაიონს.

ოქტომბრის მოედნიდან დიდ ქვის ხიდამდე — ყველგან სიხარულით აღსავსე ადამიანები არიან. ბევრია ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის პორტრეტები, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ხელში უკავიათ თვითნაკეთი პლაკატები: — „სალამი ვალიასა და ვალერის!“ „ჩვენ თქვენთან ვართ!“.

ტელმანის სახელობის ფაბრიკის მკერავი ქალიშვილები დღეს განსაკუთრებით ამაყობენ. ჯერ ერთი, ვალია ტერეშკოვა თითქმის მათი ამხანაგია პროფესიით. მქსოველები და მკერავები ხომ ერთი ოჯახია. და მეორეც, სწორედ მკერავებმა შეუკერეს მას კოსმოსური კოსტუმი.

და აი გამოჩნდა სადღესასწაულო კორტეჟი. ქუჩაში თავმოყრილი ხალხი აღტაცების შეძახილებით ეგებება მას. პაპას, აქტიუბინსკის ოლქიდან თავის ახალგაზრდებთან სტუმრად ჩამოსული მექანიზატორის ვლადიმერ ივანეს ძე სტეპანენკოს მხრებზე შეუსვამს პატარა ტანიუშა. შვილიშვილი და პაპა დიდი ხანია მზად არიან ამ გადამწყვეტი წუთისათვის: მათ საჰაერო ბურთისათვის გამოუბამთ კოსმონავტების პორტრეტები. „ვაშა!“ — გაჰყვირის ორივე და ტანიუშა „კოსმოსში“ უშვებს თავის ბურთს.

ცვივა ყვავილების თაიგულები, ფრიალებს ტრანსპარანტები და ალმები. მიჰქრის კოსმოსისაკენ ხუთი წლის საბჭოთა მოქალაქის ბურთი, მოქალაქისა, რომელიც მომავალი კოსმონავტი ან მქსოველი, მკერავი ან ტრაქტორისტია. მის წინაშე ხომ ფართო გზაა. ამ დღეების ამბებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ეს.

ყვავილები და ღიმილი. გიგანტურ ყვავილნარს ჰგავს ხალხით სავსე ფართო ოქტომბრის მოედანი. ტყის ყაყაჩოების, მიხაკის, ჟასმინის, მინდვრის ყვავილების ათასობით თაიგულია.

პიონერული ბანაკიდან ბავშვებმა სავსე მანქანით გამოგზავნეს ცისფერი კენკეშები, — გვითხრეს კომკავშირელებმა ლიდია რაგოზინამ და სვეტლანა ისიდოროვამ. — ჩვენ ვიცით, რომ ცისფერი ვალენტინას საყვარელი ფერია.

კარგ, ხალისიან გუნებაზეა ყველა შემხვედრი, მოსწავლეთა ერთი კლასი ჯგუფად მოვიდა. ბავშვებს ხელთ უჭირავთ პატარა ალისფერი დროშები, რომლებზეც კოსმონავტების პორტრეტებია, და საჰაერო ბურთები. კოსმონავტებს მარტო მოსკოველები კი არა, დედაქალაქის სტუმრებიც ხვდებიან, აქ, მოედანზე მოვიდა აგრონომი ნიკოლოზ კარეიმანოვიც, რომელიც გორკიდან ჩამოსულა, ზინაიდა კაბანოვაც, რომელიც ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა ციმბირიდან. ღიმილი გადაჰფენიათ სახეზე ახალგაზრდებს — პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

უამრავ ყმაწვილს მოუყრია თავი, რომლებიც მღელვარებისაგან განაბულან, დაძაბულან. თითქმის ყველას უჭირავს ფურცლები. ეს ფურცლები მოედანზე გადაფრენილმა ვერტმფრენმა გადმოყარა.

რაც უფრო ახლოვდება 16 საათი, მით უფრო მოუთმენლად დასცქერიან ყველანი საათებს. და აი იქუხა ვაშამ, მისალმების შეძახილებმა. ცისკენ გაფრინდა ათასობით საჰაერო ბურთი, ისვრიან თაიგულებს. გმირები, რომლებმაც ოცდაათი კილომეტრი გაიარეს ღიმილსა და ყვავილებს შორის, მანქანით კრემლისაკენ მიემართებიან.

ისინი აქ იყვნენ კოსმოსში გაფრენის ცოტა ხნით ადრე, რამდენიმე წუთით მოვიდნენ წითელ მოედანზე. მოვიდნენ, რათა ძალღონე მოეკრიბათ ვარსკვლავეთის მძიმე რეისისათვის. ასეთი ტრადიცია აქვთ ჩვენს კოსმონავტებს. აქ, კრემლის კედლებთან იწყებდნენ და ამთავრებდნენ თავიანთი დიდების გზას ჩვენი ვარსკვლავეთის პირველი მფრინავები. დღეს კი მიწიერი ლალის ვარსკვლავები თითქოს ტრიუმფულ შეხვედრას უნათებენ კოსმოსის კიდევ ორ დამპყრობს — ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას.

დაე მოღრუბლული იყოს დღეს მოსკოვის ცა, დაე სქელი რუხი ღრუბლებით დაიფაროს მზე. მაინც ლამაზია ჩვენი მოსკოვი. კოსმონავტები ჯერ მხოლოდ იწყებდნენ თავიანთ ტრიუმფულ რეისს ქალაქის მაგისტრალებზე, დედაქალაქის ცენტრში კი კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ მეთაურებს უკვე ელოდა ათი ათასობით ადამიანი. ხალხი იდგა მოედანზე და მოედნის მისადგომებთან. სავსეა ტრიბუნები. მეოთხედ ეგებება წითელი მოედანი კოსმონავტებს.

დღესასწაულებს შეჩვეულ მოედანსაც კი აოცებს ასეთი უხვი ღიმილი და უამრავი ყვავილი, რომლითაც ხალხი თავისი მიწის გმირებს ელოდება. სოხუმიდან და ტაშკენტიდან, ადლერიდან და თბილისიდან გამოგზავნეს ყვავილები კოსმონავტების შესახვედრად. თითქოს არავინ არის, ვისაც ხელში არ ეჭიროს მიხაკის, ტყის ყაყაჩოს თაიგულები ან მოსკოვის ზაფხულივით უბრალო გვირილების კონა. და რა თქმა უნდა, ალბათ, იქნება პავლოვო-პოსადიდან და იაროსლავლის მახლობელი მდელოებიდან გამოგზავნილი თაიგულებიც, სადაც პატარაობისას დარბოდა ვალია ტერეშკოვა.

მაგრამ ყვავილები ყველაზე მთავარი როდია დღეს. მთავარია ადამიანები, მათი გრძნობები. მათი ამაყი ღიმილი. შეხედეთ ამ ქალიშვილებს — მქსოველებს, ფეიქრებს, მათ ისეთივე მიწიერი პროფესია აქვთ, როგორც კოსმოსის პირველ გმირ ქალს. მათ ისე უხარიათ, თითქოს თვითონ დაბრუნდნენ კოსმოსური შორეთიდან. თითქოს მათი ღიმილი და გზის დალოცვა დაეხმარა ვალენტინას უმაგალითო გმირობის ჩადენაში.

დღეს წითელ მოედანზე მარტო მოსკოველები როდი არიან. აქ მოვიდა ჩვენი ქალაქის ბევრი სტუმარი. მათ შორის ყველა კონტინენტის წარმოგზავნილები — ქალთა მსოფლიო ფორუმის დელეგატები.

კურანტებმა ოთხჯერ დარეკეს. მოედნის სხვადასხვა კუთხეში ერთდროულად გაისმა მქუხარე ტაში. მავზოლეუმის ტრიბუნაზე გამოჩნდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები.

მთელმა კოსმოსურმა ოჯახმა მოიყარა თავი ტრიბუნაზე. ვალია ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის, რომლებსაც პატივისცემით ეგებება დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა, გვერდით უდგანან იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი, პავლე პოპოვიჩი. მაგრამ მოსკოველები სამართლიანად პირველ პატივს ვალენტინა ტერეშკოვასა და მის ციურ ძმას მიაკუთვნებენ.

— გამარჯობა, ძვირფასო „თოლია“,— გაისმის რიგებიდან. გულითადად ესალმებიან მოსკოველები ვალერისა და ვალენტინას მშობლებს, კოსმონავტ ხუთის ცოლს.

ტრიბუნაზე აცვივდა ბავშვების ჯგუფი. მათ საბჭოთა ბავშვების სახელით, კოსმოსის მომავალ დამპყრობთა სახელით ყვავილები მიართვეს კოსმონავტებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლობის მიტინგს, რომელიც საბჭოთა ხალხის ახალ სახელოვან გამარჯვებას მიეძღვნა, ხსნის სკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი.

მიკროფონთანაა ვალერი ბიკოვსკი. უსმინე მოსკოვო შენ შვილს. მან თავის თანამემამულეებს მიმართა სიხარულის სიტყვებით, რომელიც სავსე იყო სიამაყით თავისი სამშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის. მას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ხალხის „ვაშამ“ შთანთქა ვალერი ბიკოვსკის საბოლოო სიტყვები. და აი მიკროფონთანაა ვალენტინა ტერეშკოვა.

მისალმებები და ტაში დიდხანს არ აძლევს ლაპარაკის საშუალებას. რამდენიმე წუთს ირხევა წითელი მოედანი.

„ყოჩაღ, ვალენტინა!“ — შესძახეს ტრიბუნას, როცა მან სიტყვა დაამთავრა.

მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ტაში. საბჭოთა ადამიანებს — კოსმოსის დამპყრობებს მიმართავს სიტყვით სკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

მიკროფონებმა მთელ ჩვენს ქვეყანას მოჰფინეს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომლებითაც გამარჯვება უსურვა ჩვენს გმირ კოსმონავტებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მუშებს, რომლებმაც შექმნეს სასწაული ხომალდები. წითელი მოედანი კი გამოეხმაურა მათ მქუხარე ტაშითა და შეძახილებით:

— დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

— საბჭოთა ხალხს, დიდება!

მიტინგი დამთავრდა. ხუთ დღე-ღამეს ადევნებდა თვალს დედამიწა კოსმოსის სახელოვანი მზვერავების ფრენას, ხუთ დღე-ღამეს დედამიწას არ ჩაუქრია თავისი შუქურები. და დღეს წითელ მოედანზე ამ უმაგალითო ვარსკვლავური რეისის აღსანიშნავად ჟღერს დიდებული სიმღერები. საზეიმო ხმები კრემლის ლალის ვარსკვლავებს ეფინება.

ზღვა ხალხში მოჩანს ვალენტინა და ვალერის პორტრეტები, ხელით ნაწერი მისალმებანი, ლოზუნგები:

„სალამი კოსმონავტებს“

„კომუნიზმის მშენებლები უტევენ ცას“

„სალამი კოსმოსური ხომალდის პირველ მძღოლ ქალს“

პატარებს, როგორც ყოველთვის, ყველაზე ხელსაყრელი პოზიციები უკავიათ. ისინი ხელში აყვანილი ჰყავთ დედებს, მამების მხრებზე სხედან, ისინი ხედავენ ყველაფერს — ვალენტინას სხივოსნელ ღიმილს, გრძნობამორეულ ვალერის. ისინი აღტაცებული არიან, ხარობენ ისე, როგორც ეს შეიძლება მხოლოდ ბავშვობაში.

ჟღერს „კოსმონავტების მარში“. და ვინ იცის, რა ოცნებას, გმირობისადმი რა მისწრაფებას აქსოვენ მის სიტყვებში ყმაწვილები — პარაშუტისტები და სპორტსმენები, მოსწავლეები — ნორჩ კოსმონავტთა კლუბების წევრები, ფეიქარი ქალიშვილები.

მშრომელი მოსკოვი გამოვიდა მოედანზე, რომელსაც რამდენი ზეიმი და შეხვედრა უნახავს. მშრომელმა მოსკოვმა მოიტანა აქ თავისი აღტაცება, თავისი სიამაყე „მთის არწივითა“ და „თოლიათი“, თავისი შვილებით. მთელი ჩვენი ქვეყანა დაიმახსოვრებს ამ დღეს, რომ მერე, წლების შემდეგ, გაიხსენოს იგი, როგორც ოქროს ფურცელი ისტორიისა.

პ. ბელოვი, მ. გერასიმოვი, ნ. ჟელეზნოვი, გ. ლუკიანოვი, მ. პანჩენკო, პ. როგოზინსკი, ა. სერბინი, ტ. სტრიკოვსკაია, ე. ხორევა.

(საქტაგის სპეციალური კორესპონდენტები).

24 ივნისს მოსკოვში იხსნება ქალთა მსოფლიო კონგრესი

მსოფლიოს ქალთა ურყევი ნება



ამ დიდ თავყრილობას მოუთმენლად ელოდნენ დედამიწის ხუთივე კონტინენტის სხვადასხვა ეროვნების, კანის ფერის, პოლიტიკური შეხედულებისა და სარწმუნოების ქალები.

კონგრესის მოახლოებას იუწყებოდა იაპონიაში პატარა ზარების ყოველდღიური რეკვა, რომელიც თითქოს ხიროსიმასა და ნაგასაკის საშინელების მსხვერპლთა გლოვის ხმას გამოსცემდა, უდროოდ დაღუპულ პატარა გოგონას სასაკი სადაკოს დედის მოთქმა-გოდებას ეპასუხებოდა...

ქალთა ფორუმს წინ უძღოდა ორი წლით ადრე წამოწყებული ამერიკელ პატრიოტ ქალთა მასობრივი მოძრაობის — „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ — გაღრმავება და გაძლიერება. ალბათ ამერიკელ ქალთა წარმომადგენლები უამბობენ კონგრესის მონაწილეთ, როგორ ამაყად ეჭირა თავი ვაშინგტონის იუსტიციის ორგანოების მიერ მოწყობილ სამარცხვინო გასამართლებაზე ამ მოძრაობის მოთავეს, უბრალო ამერიკელ ქალს, სამი შვილის დედას დაგმარა უილსონს, რომელმაც შეკითხვაზე: „ფიქრობთ თუ არა თქვენი რიგებიდან კომუნისტების გაძევებას?“ მტკიცედ უპასუხა: „რასაკვირველია, არა! ჩვენს რიგებში ვილებთ ყველას და დიდად მოხარული ვიქნებით, თუ მშვიდობისათვის ბრძოლაში მთელი ამერიკის ხალხი ჩაებმება“.

ბევრი, ძალიან ბევრი ექნებათ სათქმელი, თუ კი მოსკოვამდე ჩამოაღწიეს, წყვდიადით მოცული ესპანეთის, პორტუგალიის და საბერძნეთის ქალებს, სადაც ასე უწყალოდ იდევნება უბრალო ადამიანური უფლებები, ფეხქვეშ ითელება დემოკრატია და თავისუფლება.

მოსკოვის კონგრესზე შავი ძაძები აღარ ეცმევათ წითლად შეფერილი კუბის რესპუბლიკის თავისუფალ ქალებს, როგორც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მეოთხე კონგრესის დროს. თალხები მაშინ გამოხატავდნენ დახვრეტილ, ციხეებში გამომწყვდეულ მახლობელთა და გაწამებული სამშობლოს გლოვას, დიქტატურული რეჟიმისადმი პროტესტსა და წყევლა-კურთხევას.

ყველას, კონგრესის დიდ და ნათელ დარბაზში თავმოყრილ სტუმრებს — ბობოქარი აფრიკის, თავისუფლებას მოწყურებული აზიისა და ამერიკის, თავდახსნილი და ჯერ კიდევ მონობის უღელქვეშ მყოფი ქვეყნების, „ცივილიზებულ“ მეტროპოლიათა წარმომადგენლებს, სოციალისტური ქვეყნებისა და დიდი საბჭოეთის ქალებს ერთიანი, საყოველთაო კეთილშობილური მიზნები და სურვილები აკავშირებთ: მშვიდობა, ხალხთა მეგობრობა, ბედნიერება, თავისუფლება.

რომელ დედას არა სურს შვილის მზეგრძელობა, შვილს — ულრუბლო ცა და ნათელი მომავალი. ამიტომაც არის დასმული კონგრესის დღის წესრიგში თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში ქალთა მონაწილეობის საკითხები: ქალი მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში, ქალის როლი ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმეში და ა. შ.

ამ პრობლემების გადაჭრისათვის მსოფლიოს ქალთა ბრძოლას სათავეში უდგას ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელმაც არსებობის 18 წლის მანძილზე ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო ქალთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. როცა კი მსოფლიოს სარბიელზე მშვიდობის მტრები თავისუფლებას ლეგა ღრუბლებით დამუქრებიან, კაცობრიობის ულამაზეს მომავალს — ბავშვებს სიკვდილის შავი აჩრდილი ჩამოსწოლია, ქალთა საერთაშორისო ფედერაციას მუდამ აუმაღლებია ხმა და თავისი მართალი სიტყვით დაურაზმავს მსოფლიოს ქალები ახალი საფრთხის წინაალმდეგ საბრძოლველად. ამიტომაც დგას დღეს ასე უყოყმანოდ ფედერაციის დროშის ქვეშ ოთხმოცდაათზე მეტი ქვეყნის მილიონობით ქალი და იბრძვის სანუკვარი მიზნების განხორციელებისათვის.

სწორედ ამ ფედერაციის გადაწყვეტილებით იწყებს მუშაობას მოსკოვში მსოფლიოს ქალთა კონგრესი, რომლის მოწვევას მხარი დაუჭირა და მის მოსამზადებელ კომიტეტს დახმარების ხელი გაუწოდა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, კეთილი ნების ყველა ქალმა დედამიწის კიდითკიდემდე.

კონგრესის მოწვევას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის ქალებიც. კონგრესის მოსამზადებელი საბჭოთა კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენს ქალებს ძალღონე არ დაუზოგავთ კონგრესის მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, კონგრესის ფონდში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად. ყოველდღიურად მაღლდებოდა ქალთა შრომითი აქტივობა/ და სიმამაცე, თავდადება და შეუპოვრობა. პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას კოსმოსში გაფრენაც ხომ ქალთა კონგრესისადმი საჩუქარია.

კონგრესის მოწვევის გადაწყვეტილებისადმი ერთსულოვან მხარდაჭერას გამოხატავდა აგრეთვე საქართველოს ქალების მიერ გაწეული საქმიანობა: განხორციელებული ღონისძიებები, კონგრესის ფონდში შეტანილი სახსრები.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მონაწილეობას მიიღებენ კონგრესის მუშაობაში.

მსოფლიოს ქალთა კონგრესი — ეს დიდი თავყრილობა ახალ ფურცელს ჩაწერს თავისუფლებისათვის ქალთა ბრძოლის ისტორიაში.

თინა ზარგინავა.

ულოცავენ საბჭოთა ხალხს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ვ. ულბრიხტმა, ო. გროტევოლმა, ი. დიკმანმა და ე. კორენსმა დეპეშა გამოუგზავნეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს. დეპეშაში ულოცავენ საბჭოთა კავშირის ახალ მეცნიერულ გმირობას — კოსმონავტების ვ. ტერეშკოვასა და ვ. ბიკოვსკის კოსმოსური ფრენის წარმატებით დამთავრებას.

დეპეშაში, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვს გამოუგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოს პრემიერმა ჩოუ ენლაიმ, აღნიშნულია, რომ „აღმოსავლეთი-6“ ხომალდის გაშვება კოსმოსში თაოსნობაა იმ საქმეში, რომ კოსმოსის სივრცე დაიპყრონ საბჭოთა ქალებმა. ჩინელი ხალხის სახელით იგი მხურვალედ ულოცავს დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ქალებს, საბჭოთა მეცნიერ მუშაკებს და კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-5“ პილოტს კოსმონავტ პოდპოლკოვნიკ ვ. თ. ბიკოვსკის და კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-6“ პილოტს მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალს ამხანაგ ვ. ტერეშკოვას და სულითა და გულით უსურვებს საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ქალებსა და საბჭოთა მეცნიერ მუშაკებს ახალ კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატებებს კოსმოსური სივრცის დაპყრობის დიად საქმეში.

იმის გამო, რომ წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-6“ და „აღმოსავლეთი-5“ ფრენა დედამიწის გარშემო, მისალმებანი გამოგზავნეს აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჩიონგ ტინმა, ნეპალის მეფემ მაჰენდრამ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესაუბრებიან კოსმონავტები

შეხვედრა კოსმოსის გმირებთან

მოუთმენლად მოველოდით ამ საუბარს კოსმოსის გმირებთან. და აი ჩვენი დღეც დადგა. ტრადიციისამებრ ყველა ჟურნალისტი მიგვიწვიეს სახლში ვოლგის ნაპირზე. სწორედ აქ გაიმართა ეს პრეს-კონფერენცია.

ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა შეკრებილთ წარუდგინა კოსმოსის გმირები და აცნობა, რომ ვალერიმ და ვალენტინამ გაიარეს გულდასმითი სამედიცინო შემოწმება. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩინებულია, თქვა მან დამსწრეთა ტაშის გრიალში.

ჟურნალისტები შეკითხვებს აძლევენ ხომალდების „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6" მეთაურებს.

□ □

კითხვა: თქვენ, ვალენტინა ვლადიმერის ასულო, მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ხართ. ბუნებრივია, გვსურს თქვენგან გავიგონოთ, რა გეჩვენათ ფრენის დროს ყველაზე ძნელი?

ტერეშკოვა: იმ დღიდან, რაც კოსმონავტთა მომზადების ცენტრში მოვხვდი, დიდხანს და ბეჯითად ვემზადებოდი ფრენისათვის. სურდოკამერა და თერმოკამერა, ცნობილი ცენტრიფუგა, სპორტი და ბევრი სხვა — აი ყოველივე ამათი გავლა მომიხდა. მეძნელება გითხრათ, მაინც რა იყო ყველაზე ძნელი. მოულოდნელობა არ ყოფილა. ვიმეორებ, აქამდე ხომ დედამიწაზე გავიარეთ ყველაფერი ის, რაც დაგვჭირდებოდა კოსმოსური ფრენის დროს, ყოველივე ის, ურომლისოდაც არ შეიძლება კოსმოსში ფრენა. ამრიგად, კოსმოსური ხომალდის კაბინაში ჩავჯექი ყოველმხრივ მომზადებული ადამიანი.

კითხვა: რომელი გარშემოვლა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ?

ბიკოვსკი: 18 ივნისის გარშემოვლა, როცა გერმანე ტიტოვმა მითხრა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინური პარტიის რიგებში მიგიღოო. სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ის უდიდესი გრძნობა, რომელიც იმ მომენტში განვიცადე. უნებლიეთ ჩემთვის ვიმეორებდი — მე პარტიის წევრი ვარ, ლენინური პარტიის წევრი ვარ, სიამაყით აღვსავსე, რომ შევედი დიად პარტიაში, რომელიც კომუნიზმისაკენ მიგვიძღვის.

ტერეშკოვა: ჩემი ყველაზე ღირსშესანიშნავი გარშემოვლა იყო მესამე გარშემოვლა. ამ მომენტში მელაპარაკებოდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, მესაუბრებოდა მამობრივად, ალერსიანად, გულითადად მისურვა ბედნიერი ფრენა და მშვიდობით დაბრუნება. მისმა სიტყვებმა სიხარული მომგვარა. და კიდევ ერთი მოვლენა, რაც არ შემიძლია არ გითხრათ, — ეს არის ის მომენტი, როცა ხომალდის ხელით მართვაზე გადავედი. საოცარი მდგომარეობაა, როცა გრძნობ, თუ როგორ ემორჩილება შენს ხელებს შესანიშნავი ხომალდი — ტექნიკის სასწაული. და ამაყობ, რომ ეს სასწაულებრივი ხომალდი შექმნეს ჩემმა ნიჭიერმა თანამემამულეებმა.

კითხვა: იური გაგარინმა, გერმან ტიტოვმა, ანდრიან ნიკოლაევმა და პაველ პოპოვიჩმა ბევრი გვიამბეს უწონობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ უჩვეულო მოვლენებზე. ხომ არ დაუმატებდით რაიმეს მათ დაკვირვებებს?

ბიკოვსკი: უწონობის შესახებ ბევრი რამ ვიცოდით. როცა თვითმფრინავებით ვფრენდი, რამდენიმე ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში. არ დაგიმალავთ, უწონობა მომეწონა კიდეც, მოუთმენლად ველოდი იმ მომენტს, როცა პროგრამის შესაბამისად თავი უნდა ამეშვა და სავარძლიდან ავმდგარიყავი. უწონობა, ჩემი შეხედულებით, ძალიან სასიამოვნოა. ისე მივეჩვიე უწონობას, რომ ვერც კი ვგრძნობდი მას. და მხოლოდ მაშინ გამახსენდებოდა, როცა უცბად შევამჩნევდი, რომ რომელიღაც საგანი ჩემს წინ უმოძრაოდ ჰკიდია.

კითხვა: გვიამბეთ, ვალერი თევდორეს-ძევ, თქვენი ფრენის ორი დღე-ღამის შესახებ, თქვენს მარტოობაზე. რა იგრძენით, როცა თქვენთან ორბიტაზე გამოვიდა „აღმოსავლეთი-6"?

ბიკოვსკი: კითხვა სწორად არ არის დასმული. რა მარტოობაზე შეიძლება ლაპარაკი? ჩვენ ყოველთვის დაკავშირებული ვიყავით დედამიწასთან, მეცნიერებთან, კონსტრუქტორებთან, ჩვენს კოსმონავტებთან. აზრადაც არ მომსვლია, რომ მარტო ვიყავი. ყოველთვის ვგრძნობდი ხალხის მხარდაჭერას. როცა ჩემს გვერდით ვალიუშა გამოჩნდა, გული სიხარულით ამევსო. ჩვენ უმალვე დავამყარეთ ურთიერთრადიოკავშირი და დავიწყეთ საუბარი.

კითხვა: რომელ მატერიკებს, ოკეანეებსა და ზღვებს ხედავდით ფრენის დროს? უზიარებდით თუ არა ერთმანეთს აზრს დანახულის შესახებ?

ბიკოვსკი: საინტერესო კითხვაა. როცა მშობლიურ ქვეყანას გადავუფრინე, კარგად გამოჩნდა კავკასიონი, კასპიის ზღვა, ქალაქები. რა თქმა უნდა, მე და ვალია ვუზიარებდით ერთმანეთს აზრს იმის შესახებ, რაც დავინახეთ. ძალიან ლამაზია მზის ჩასვლა და ამოსვლა.

ტერეშკოვა: საოცარი სანახაობაა მზის ჩასვლა და ამოსვლა. განუმეორებელია ფერთა გამა, როცა ხომალდი დედამიწის ჩრდილიდან გამოდის.

ბიკოვსკი: მინდა დავუმატო — მაღლიდან ძალიან კარგად ვხედავდი ჩვენს ლენინგრადს.

კითხვა: ვოლგა თუ დაინახეთ?

ტერეშკოვა: დავინახე. ლამაზია ვოლგა, მაგრამ დედამიწაზე კიდევ უკეთესია, განსაკუთრებით ჩემს მიწა-წყალზე.

კითხვა: სიზმრები თუ გესიზმრებოდათ და რა გესიზმრათ?

ვალიაც და ვალერიც სიცილით ამბობენ, რომ უსიზმროდ სძინავთ. ვალია დასძენს, კოსმოსში ისე მაგრად მეძინა, ერთხელ თუ ორჯერ, საკომანდო პუნქტიდან რადიოთი გამაღვიძეს.

კითხვა: როგორ იკვებებოდით კოსმოსში? რას და რამდენჯერ ჭამდით? მოგეწონათ თუ არა კოსმოსური კვება?

ტერეშკოვა: ისევე როგორც დედამიწაზე, ოთხჯერ ვჭამდით, არჩევანი ისეთი გვქონდა როგორც კარგ სასადილოშია: შემწვარი ხბოს ხორცი, შემწვარი ღორის ხორცი, კოტლეტი, ქათამი, ხილი, სხვადასხვა წვენი. მოსკოვიდან წამოღებული წყლის მარაგიც კი მქონდა, თუმცა, არ იყო კოსმოსური სამზარეულო, ასე რომ, საჭმლის დამზადება მე არ მიხდებოდა. უნდა აღვნიშნო, აგრეთვე, ჩვენი კოსმოსური სასადილოს მნიშვნელოვანი თვისება — მთელი საჭმელი ბუნებრივი პროდუქტებისაგან იყო დამზადებული.

ბიკოვსკი: საჭმელს ვერ დავემდურებით — ჩვენ ხომ თვითონ ავირჩიეთ ყველაფერი, რაც კი მოგვწონდა.

ტერეშკოვა: მარტო ის მწყინს, შავი პური რომ არ გვქონდა.

კითხვა: რას აკეთებდით ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ დროს"?

ბიკოვსკი: მაინც და მაინც ბევრი თავისუფალი დრო არც გვქონია. მე, მაგალითად, მუსიკის მოყვარული ვარ და საათობით ვისმენდი. როცა ჩვენს ქვეყანას გადავუფრენდი, რადიოს ვრთავდი, მინდოდა გამეგო ჩემი ქვეყნის ამბავი. სიმღერებსაც ვმღეროდი ვალიასთან ერთად. იგი ჩვეულებრივად იწყებდა, მე ბანს ვეუბნებოდი.

ტერეშკოვა: მე სიმღერა მიყვარს. ჩვენს პატარა რეპერტუარში იყო სიმღერები მეგობრობაზე, მოსკოვზე და ჩვენი კოსმოსური „მჭერა რაკეტების ეს ქარავნები...". ვიმღერეთ აგრეთვე შაირები, რომლებიც ჟურნალისტებმა ჩვენს შესახებ დაწერეს კოსმოდრომზე.

კითხვა: რით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან კოსმონავტის დღის განაწესი ფრენის პირველ დღესა და ფრენის უკანასკნელ დღეს?

ბიკოვსკი: ფრენის პირველი და უკანასკნელი დღის განაწესი ზუსტად იყო დაგეგმილი და განუხრელად სრულდებოდა. ფრენის დასაწყისში მთავარი ადგილი ეკავა მეცნიერულ დაკვირვებებს, ფრენის ბოლოს — დაშვებისათვის მზადებას.

კითხვა: რა უთხარით ერთმანეთს, როცა ხომალდმა „აღმოსავლეთი-6" მიიღო დედამიწაზე დაშვების განკარგულება.

ბიკოვსკი: მე ვალიას ვუთხარი: ბედნიერად, ვალია, მშვიდობით დაშვებას გისურვებ, ნახვამდის, მშობლიურ მიწა-წყალზე მალე შეხვედრამდე!

ტერეშკოვა: მეც ვუსურვე ვალერის დედამიწაზე მშვიდობით დაშვება.

კითხვა: რა გესმოდათ რადიოთი, როცა კონტინენტებს გადაუფრენდით ხოლმე? დედამიწის რომელი ახალი ამბავი ჩაგწვდათ ყველაზე უფრო გულში?

ბიკოვსკი: ყველაზე უფრო მესიამოვნა მშობლიური მოსკოვის ხმის გაგონება რადიოთი, განსაკუთრებით გამახარა ცნობამ, რომ ორბიტაზე გავიდა ხომალდი „აღმოსავლეთი-6". ხოლო როცა მე და ვალიამ კავშირი დავამყარეთ რადიოთი, ორივეს უსაზღვრო სიხარული დაგვეუფლა.

კითხვა: წაიღეთ თუ არა კოსმოსში რაიმე სუვენირი?

ტერეშკოვა: სტარტის წინ ერთ-ერთი სკოლის პიონერებმა მომიტანეს სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი, რომელზეც ამოქარგულია ნამგალი და ურო. აი ეს ძვირფასი სუვენირი მქონდა თან კოსმოსში ფრენის დროს. მინდა იგი ვუძღვნა ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს.

ბიკოვსკი: ფრენის დროს თან მქონდა სრულიად საკავშირო ალკკ 11 სამკერდე ნიშანი. როცა მოსკოვში ჩავალ, ამ სამკერდე ნიშნებს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ჩავაბარებ, რათა გადასცენ ყველაზე ღირსეულ კომკავშირელებს.

კითხვა: რა იგრძენით პირველად, როცა დედამიწაზე დაეშვით?

ტერეშკოვა: რუსებს ერთი ანდაზა აქვთ: „სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ — უკეთესია". კოსმოსში ყოფნა კარგია, მაგრამ მშობლიურ მიწა-წყალზე — უკეთესია. რა ვიგრძენი, როცა დავეშვი? სიხარული იმის გამო, რომ წარმატებით შევასრულე პარტიისა და ხალხის დავალება. წარმატებით შესრულდა ფრენის პროგრამა. ვიგრძენი სიხარული მხურვალე შეხვედრის გამო, რომელიც საბჭოთა მიწაზე მომიწყვეს. ხალხი ღიმილით მოეშურებოდა ჩემკენ, ბავშვები შემომეხვივნენ, ყველა აღტაცებით მესალმებოდა.

ბიკოვსკი: გვიხაროდა, რომ ორივემ, ციურმა და-ძმამ, როგორც ჟურნალისტებმა გვიწოდეს, წარმატებით შევასრულეთ საპატიო დავალება და ორივენი მშვიდობით დავეშვით ჩვენი დიადი სამშობლოს მიწა-წყალზე.

კითხვა: ვინ გადაგეხვიათ პირველად მშობლიურ მიწაზე?

ბიკოვსკი: ეს რომ ერთი კაცი ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შემხვდნენ ყამირელები — დედამიწაზე შრომის გმირები, შემხვდნენ მხურვალედ და აღტაცებით.

ტერეშკოვა: მეც ბევრი ხალხი შემომეგება. ყველა მეხვეოდა, მკოცნიდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ძალიან მოხუცი ქალი. თვალებზე სიხარულის ცრემლი ჰქონდა. მითხრა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, კოსმონავტ ქალს რომ ვხედავო, ვამაყობ, რომ საბჭოთა კავშირში ქალები ყოველ საქმეში მამაკაცის თანასწორუფლებიანი გახდნენო.

კითხვა: როცა თქვენ ჯერ ისევ კოსმოსში იმყოფებოდით, მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იდეოლოგიურ საკითხებზე. მოასწრეთ თუ არა გასცნობოდით პლენუმის მასალებს.

ტერეშკოვა: კოსმოსში ფრენის დროს რადიოთი შევიტყვეთ, რომ გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იდეოლოგიურ საკითხებზე. ჩვენ მისასალმებელი დეპეშა გავუგზავნეთ პლენუმს და დეპეშაზე მხურვალე პასუხი მივიღეთ, გვილოცავდნენ და მშვიდობით დაშვებას გვისურვებდნენ. პლენუმის მიმდინარეობისა და ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების შესახებ ცნობა რადიოთი მოვისმინეთ. ხოლო როცა დედამიწაზე დავეშვით, ცხადია, უკვე მიწიერ პირობებში, დასვენების დროს გავეცანით პლენუმის მასალებს.

კითხვა: მოახერხეთ თუ არა კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ მშობლებთან და ახლობლებთან საუბარი?

ბიკოვსკი: ჯერ კიდევ 19 ივნისს ვესაუბრე ტელეფონით ცოლს. მან მომილოცა ფრენის წარმატებით დამთავრება. ჩემი ბიჭუნაც თან ჰყავდა. რაღაც ჩამომწრიპინა ტელეფონის მილში.

ტერეშკოვა: მე დედასა და ძმას ვესაუბრე. რაზე ვისაუბრეთ? თქვენთვის, რა თქმა უნდა, გასაგებია დედის სიხარული. მიჭირს ყოველივე ეს სიტყვებით გამოვთქვა.

კითხვა: ვალერი თევდორეს-ძევ, რა კოსმოსურ სუვენირს აჩუქებთ თქვენს ვაჟს ვალერიკს?

ვალენტინა ვლადიმერის ასულო, რას გადასცემთ თქვენს თანამემამულე იაროსლაველლებს, კერძოდ, კომბინატ „წითელი პერეკოპის" კოლექტივს?

ბიკოვსკი: უკვე ვთქვი, რომ კოსმოსში თან მქონდა 11 კომკავშირული სამკერდე ნიშანი, რომლებსაც სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს გადავცემ, მაგრამ მეთერთმეტე ჩემია. ამას ჩემს ვაჟს მივცემ, როცა გაიზრდება და კომკავშირელი გახდება.

ტერეშკოვა: ჩემს თანამემამულე იაროსლაველლებს მხურვალე მოკითხვას ვუძღვნი და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ „წითელი პერეკოპის" სახელობის კოლექტივს. არასოდეს დამავიწყდება წლები, როცა იქ ვმუშაობდი. მშვენიერი ხალხია.

კითხვა: ვალენტინა ვლადიმერის ასულო, რომელი ფერი გიყვართ ყველაზე უფრო?

ტერეშკოვა: ცისფერი.

კითხვა: რატომ?

ტერეშკოვა: რა ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ ცა არის ამ ფერის. ცა კი, ბავშვობიდანვე მიყვარს.

კითხვა: ვალენტინა ვლადიმერის ასულო, რა გეგმები გაქვთ მომავლისათვის?

ტერეშკოვა: უწინარეს ყოვლისა, მინდა ვისწავლო. ეს ჩემი უახლოესი გეგმაა. გარდა ამისა, უნდა გითხრათ, მინდა ვიფრინო კოსმოსში. თუმცა, ეს არის დავბრუნდი კოსმოსიდან, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. წინ ხომ კიდევ სხვა გაფრენებია: ალბათ მარსზე, მთვარეზე, ვენერაზე და მინდა ვიყო ამ პიონერთა შორის.

ჩვენი საუბარი კოსმონავტებთან მთავრდება. მადლობას ვუხდით საინტერესო და შინაარსიანი ნაამბობისათვის კოსმოსში ფრენის შესახებ. ჩვენ ვეუბნებით:

— ბედნიერი იყოს თქვენი სწავლისა და ცხოვრების ორბიტა.

ა. ბარიშევსკი,
ა. რომანოვი,
(საკდესის სპეც. კორ.).

21 ივნისი.

დავალება შესრულებულია, განწყობილება ჩინებულია!

ეპოქალური მიღწევა

საზღვარგარეთის გამოხმაურება საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენის წარმატებით დამთავრების გამო

საკდესის ცნობა, რომ წარმატებით დაეშვნენ საბჭოთა კოსმონავტები ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი და ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა, კვლავ მთელი საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მსოფლიოს ხალხები აღტაცებული არიან ვარსკვლავეთის და-ძმის უმაგალითო გმირობის გამო, მხურვალედ ულოცავენ მათ და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სადღესასწაულოდ გაფორმებულ გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილია კოსმოსის მამაც დამპყრობთა, საბჭოთა კავშირის მოქალაქეების ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის მომღიმარი სახეები. „წარმატებით დაეშვნენ!", „ვალია და ვალერი! გულითადად გილოცავთ ზუსტად დაშვების გამო!". „კოსმოსში რეკორდული ფრენის შემდეგ კვლავ დედამიწაზე!" — ასეთი სათაურებია დაბეჭდილი წითელი შრიფტით გაზეთების პირველ გვერდზე.

გულითადად მიესალმებით მამაც კოსმონავტებს ვალენტინასა და ვალერის, რომლებმაც გმირობა ჩაიდინეს მეცნიერების პროგრესისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი". თქვენი ფრენა კოსმოსში გამოხატავს სოციალიზმის ყოვლისშემძლე ძალას. თქვენ კვალავთ გზას ახალ, კომუნისტურ ერაში, რომელიც უკვე იწყება თქვენს ქვეყანაში. სოციალიზმის გამარჯვების ისტორიის ამსახველ დიდ წიგნში „რუსული სასწაულის" შესახებ გაჩნდა ახალი ფურცელი, რომელზეც წარწერილია ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის სახელები, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი".

ბელგრადი. იუგოსლავიის პრესა ერთსულოვნად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კოსმონავტების, მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და მუშების მორიგ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ექნება კოსმოსური სივრცის შემდგომი ათვისებისა და კაცობრიობის მომავლისათვის.

ჩვენი კოსმოსური საუკუნე აღინიშნა საბჭოთა კოსმონავტიკისა და საერთოდ მეცნიერების კიდევ ერთი განსაკუთრებული მონაპოვრით, წერს გაზეთი „კომუნისტი". ვალენტინა ტერეშკოვას კოსმოსურ ფრენას გაზეთი უმაგალითოს უწოდებს.

დელი. „რუსი კოსმონავტი ტყუპები მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე". „კოსმონავტები მიწაზე დაეშვნენ დასახული გეგმის შესაბამისად", „მარათონული კოსმოსური მოგზაურობა დამთავრდა". „მოსკოველები ზეიმობენ" ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდილი ასეთი სათაურებით აუწყებს ინდოეთის პრესა მკითხველებს საბჭოთა კოსმონავტების ფრენის წარმატებით დამთავრებას.

პრესა აქვეყნებს ვალერი ბიკოვსკის, ვალენტინა ტერეშკოვასა და მოზეიმე მოსკოველთა ფოტოსურათებს. გაზეთების ცნობებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ხომალდების „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6" ფრენის შედეგად სსრ კავშირმა ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კოსმოსში.

ნიუ-იორკი. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ცნობილი ამერიკელი მწერლის ალბერტ რის ვილიამსის ქვრივმა ლუსიტა ვილიამსმა, რომელმაც ერთ დროს პრესაში გააშუქა ჩაფრენა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა თვითმფრინავის ეკიპაჟისა ცნობილი მფრინავის მ. მ. გრომოვის მეთაურობით, ჩრდილოეთ პოლუსს რომ გადაუფრინა, თქვა: „საბჭოთა კოსმონავტების ფრენა განსაცვიფრებელია. ვერ გამომიხატავს სიტყვები, რომ გამოვთქვა ჩემი აღტაცება სიხარულით შევიტყვე, რომ ნიუიორკელები, რომლებსაც ამ დღეებში ვხვდებოდი, აღტაცებით მიესალმნენ ახალ ტრიუმფულ გაფრენას".

„შესანიშნავი მიღწევა" — ასეთი სიტყვებით დაახასიათა საბჭოთა კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას გმირობა სენატორმა მორინ ნეიბერგერმა — ამერიკის სენატის წევრმა ქალმა.

ლონდონი. „დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნდა რუსთა კოსმოსური წყვილი", — წერს სათაურში გაზეთი „ტაიმსი", „დეილი მირორი" სათაურში ბეჭდავს სიტყვებს: „კოსმოსური დუეტი დამთავრდა" და „ვალენტინა უპატაკებს დავალების შესრულებას ბ-ნ ხრუშჩოვს".

„ვალია ტერეშკოვა, მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი, დედამიწაზე დაბრუნდა რეკორდული ფრენის შემდეგ და ისე მშვიდად გრძნობს თავს, თითქოს გასასეირნებლად ყოფილიყოს — ამ ფრაზით იწყებს „დეილი სკეტჩი" თავის ცნობას ფრენის დამთავრების შესახებ. „დეილი ტელეგრაფი" წერს, რომ ვალერი ბიკოვსკის მხოლოდ ექვსი წუთი დააკლდა ხუთი დღე-ღამის კოსმოსურ ფრენამდე.

ინგლისის გაზეთები აქვეყნებენ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის შინაარსს კოსმონავტებთან ტერეშკოვასა და ბიკოვსკისთან მათი მიწაზე დაშვების შემდეგ. გაზეთი „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ კოსმონავტებს მოსკოვში მოუწყობენ სასიხარულო და საზეიმო შეხვედრას. და წერს: საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ მათი ქვეყნიდან აფრინდა კოსმოსში მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი.

პარიზი. შესანიშნავია! უსაზღვროდ მოხარული ვართ, რომ ვალენტინა და ვალერი მშვიდობით დაეშვნენ დედამიწაზე. მხურვალედ ვულოცავთ, ამბობენ აღტაცებული პარიზელები.

ცნობა, რომ დედამიწაზე დაბრუნდა ორი საბჭოთა კოსმონავტი გმირი, საფრანგეთის დედაქალაქში მოვიდა მაშინ, როცა საღამოს გაზეთები უკვე დაბეჭდილი იყო. მაგრამ ეს ცნობა დაუყოვნებლივ გადასცა ყველა საინფორმაციო სააგენტომ და რადიოსადგურმა. „წარმატებით დამთავრდა ყველაზე ხანგრძლივი ფრენა, რომელიც ოდესმე თუ განუხორციელებია ადამიანს. პოდპოლკოვნიკმა ვალერი ბიკოვსკიმ, რომელიც 14 ივნისს გაუშვეს კოსმოსში, ყველა რეკორდს გადააჭარბა... — „ასეთი სიტყვებით იწყება ფრანს პრესის სააგენტოს მეცნიერი მიმომხილველის კომენტარი.

ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ „ახალი საბჭოთა გმირობა კიდევ უფრო ზრდის სსრ კავშირის უპირატესობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით ადამიანის კოსმოსური ფრენის დარგში...".

„ვალენტინას და ვალერის ფრენას ენთუზიაზმით მიესალმებიან როგორც მოსკოვში, ისე მთელ მსოფლიოში", — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ფრანს-სუარი", რომლის ტირაჟი მილიონ ცალს აღემატება.

* * *

ტელეტაიპები კი განაგრძობენ მუშაობას... ისინი ახალ-ახალ მხურვალე მილოცვებს გადასცემენ საბჭოთა კოსმონავტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, ახალ წარმატებათა სურვილებს ვარსკვლავეთის სივრცის ათვისებაში. (საკდესი).

დიდი ინტერესი

საზღვარგარეთის პრესა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

სოფია, (საკდესი). ბულგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. დღეს ბულგარეთის გაზეთები მსხვილი სათაურებით „მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით", „იდეოლოგიის დარგში არ შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა" ბეჭდავენ პლენუმის მონაწილეთა გამოსვლების შინაარსს.

ბერლინი, 20 ივნისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას კვლავ დიდ ყურადღებას უთმობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთები.

გაზეთებში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების გამო კამათში მონაწილეთა გამოსვლები და ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმზე აღძრული საკითხების განხილვას.

პლენუმის მუშაობას დიდი ინტერესით თვალს ადევნებენ მთელ მსოფლიოში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი". პლენუმი განიხილავს და დასახავს შემდგომ ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომპარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში.

დელი, (საკდესი). „იდეოლოგიების მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია" — ასეთი სათაურებით დღეს ინდოეთის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შესახებ. „სტეიტსმენი" ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვის სურათს, როცა იგი პლენუმს ხსნის. „პეტრიოტი" და სხვა გაზეთები ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებიდან გამოყოფენ იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ იმპერიალიზმმა ფსიქოლოგიური ომი სახელმწიფო პოლიტიკად გადააქცია და რომ იგი აერთიანებს პროგრესის ყველა მტერს.

„პეტრიოტი" განმარტავს ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებას და აღნიშნავს: „მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ახალ საფეხურზე ავიყვანოთ იდეოლოგიური აღზრდა და განვაგრძოთ დაუცხრომელი ბრძოლა იდეოლოგიების თანაარსებობის წინააღმდეგ".

პირდაპირი კავშირი მოსკოვი-ვაშინგტონი

ჟენევა, 20 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ დაამყარონ პირდაპირი სატელეტაიპო კავშირი მოსკოვ-ვაშინგტონს შორის.

იტალიის ახალი მთავრობა

რომი 22 ივნისი. (საკდესი). იტალიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ჯოვანი ლეონემ გამოაცხადა ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. ამ მთავრობის შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, თუმცა ყველაზე მეტი ადგილი აქვთ პარლამენტში, არც ერთ პალატაში არა ჰყავთ აბსოლუტური უმრავლესობა.

საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელი ცხოვრების მიმოხილვა

ერაყის ამბები

პარიზი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ლონდონის არაბთა დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ უკვე ორ დღეზე მეტია ბაღდადსა და კირკუკს შორის შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლა.

„თავგანწირულ ქურთთა რაზმები" თავს დაესხნენ კირკუკის, ჯალაულის სამხედრო საწყობებს და რაშიდის სამხედრო ბანაკს ბაღდადის სამხრეთით, სადაც სამხედრო მასალების საწყობთა აფეთქება მოხდა.

გაშლილ ადგილზე შეტაკებებში, აღნიშნავენ არაბთა ამ წრეებში, ერაყის არმიას უპირატესობა აქვს ქურთებთან შედარებით, მაგრამ როცა ბრძოლა მთიან რაიონებშია, რომლებსაც ქურთები კარგად იცნობენ, ერაყის ჯარები კარგავენ ამ უპირატესობას და მოწინააღმდეგეებზე უარეს მდგომარეობაში არიან.

ლონდონი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყება, მოსულის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ექვს ქურთს, რომლებსაც ბრალად ედებათ მუსტაფა ბარზანის პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობა. რვა სხვა ქურთს მუდმივი პატიმრობა მიესაჯა. ყველა მათგანს ბრალად ედება ერაყის სამხედრო კოლონაზე თავდასხმა, რომლის დროსაც დახოცილი და დაჭრილი არიან ერაყის ჯარისკაცები და მოსპობილია 17 ავტომანქანა.

ამავე დროს ერაყის სარდლობა ჩრდილოეთ ერაყში ამტკიცებს, შენიშნავს კორესპონდენტი, რომ ქურთების წინააღმდეგ მოქმედი ნაწილები, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ, არ შეხვედრიან რაიმე წინააღმდეგობას.

პარიზი, 22 ივნისი. (საკდესი). პირველი შემთხვევაა, რომ ჩრდილოეთ ერაყში სამხედრო ოპერაციების შესახებ ოფიციალური კომუნიკე, რომელიც ბაღდადის რადიომ გამოაქვეყნა, აშკარად აღიარებს, თუ რა სიძნელეებს წააწყდა ერაყის სამხედრო სარდლობა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ „მთავრობის ჯარები ქურთების „მეტად ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ".

მთავრობის კრიზისი საბერძნეთში

ათენი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, ახლახან შექმნილი პიპინელისის ეგრეთწოდებული დროებითი მთავრობის სამმა მინისტრმა საზოგადოებრიობის პროტესტების გავლენით გადადგომა ითხოვა. ესენი არიან იუსტიციის მინისტრი პაგულატოსი, ვაჭრობის მინისტრი მავრიკისი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ტალელისი.

დღეს გაიმართა მემარჯვენე პარტიის „ეროვნული რადიკალური კავშირის" საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, სხდომის მონაწილეებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც მოითხოვენ სასწრაფოდ მოეწყოს პარლამენტის ვადამდე არჩევნები.

აირჩიეს რომის პაპი

რომი, 21 ივნისი. (საკდესი). ვატიკანში სიქსტეს კაპელის თავზე გაჩნდა თეთრი კვამლის სვეტი. არსებული ტრადიციის თანახმად ეს ნიშნავს, რომ კარდინალთა კონკლავმა აირჩია ახალი პაპი — გარდაცვლილი პაპის იოანე XXIII-ის მემკვიდრე. აქ გამოცხადდა, რომ რომის ახალ პაპად არჩეულია მილანის არქიეპისკოპოსი კარდინალი მონტინი. მას ეწოდა პავლე VI.

ჯოვანი ბატისტა მონტინი დაიბადა 1897 წელს. იგი ცნობილია როგორც ერთ-ერთი უახლოესი თანამოღვაწე განსვენებული იოანე XXIII-სა.

კომუნისტი სპორტი

ტურნირი პარდუბიცეში

ჩეხოსლოვაკიის ქ. პარდუბიცეში გრძელდება სოციალისტური ქვეყნების „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი.

გუშინ საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. ყორყოლაძემ, რომელიც ტურნირის ერთ-ერთი არბიტრია, ტელეფონით საუბარში განაცხადა:

თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა კოლექტივი, რომელმაც ასპარეზობის პირველი დღეებიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა, ლიდერობას არავის უთმობს და გამარჯვებასაც მას უწინასწარმეტყველებენ.

მესამე ტურის მატჩი ჩვენს კალათბურთელებს ჰქონდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან. ამჯერად სასტარტო ხუთეულში იყვნენ — ლეჟავა, უგრეხელიძე, კილაძე, ალთაბაევი, კაზანჯიანი. თბილისელთა ტემპიან და კომბინაციურ თამაშს გერმანელებმა ვერაფერი მოუხერხეს და წააგეს პირველი ტაიმი 19 ქულის სხვაობით (24:43). თბილისის დინამოელები მეორე ტაიმშიც ინარჩუნებდნენ უპირატესობას და გაიმარჯვეს ანგარიშით 83:58.

ამრიგად, ჩვენმა კალათბურთელებმა სამი თამაშიდან სამივე მოიგეს და ტურნირის ლიდერობას ინარჩუნებენ.

მესამე ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: პოლონეთი-უნგრეთი 75:63, ჩეხოსლოვაკია-ბულგარეთი 49:56, ჩინეთი-რუმინეთი 53:46.

ა. მეტრეველი — ნახევარფინალში

ლონდონის „კუინს-კლაბის" კორტებზე გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელიც გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს უიმბლდონის ჩემპიონატის წინ.

როგორც ვიუწყებოდით, ერთეულთა შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიოდა თბილისელი მოსწავლე ა. მეტრეველი. მეოთხედფინალში მეტრეველის წინააღმდეგ არ გამოსულა ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი კ. ფლეტჩერი და საქართველოს წარმომადგენელი ნახევარფინალში გავიდა, სადაც შეხვდა უძლიერეს მეტოქეს ავსტრალიელ რ. ემერსონს და დამარცხდა — 4:6, 2:6.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

რუსთაველის სახელობის — ამირანი (დღისით, მე-2 აბონ. მე-7 სპექტ., საღამოს, მე-17 აბონ. მე-8 სპექტ.), **მარჯანიშვილის სახელობის** — უსახელო ვარსკვლავი (დღისით, 24-ე აბონ. მე-8 სპექტ.), ბუღარა (მე-19 აბონ. მე-7 სპექტ.), **გრიბოედოვის სახელობის** — პალატა (დღისით), ეზოში ავი ძაღლია (საღამოს).

ტელევიზია

23 ივნისი

12.00 — კონცერტი, 12.20 — მხატვრული ფილმი „მხიარული ისტორიები", 13.40 — რუსული ენის გაკვეთილი, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.40 — დოკუმენტური ფილმი „საოცარი ძალა", 13.40 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.05 — კინონარკვევი, 20.25 — მხატვრული პროგრამა.

24 ივნისი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.55 — საუბარი — „ქალთა საერთაშორისო ფორუმი", 19.10 — სპორტული გადაცემა, 20.10 — გადაცემა — „მუსიკის სამყაროში", 21.10 — მხატვრული ფილმი „დიდი ცხოვრება" (პირველი სერია), 22.40 — ახალი ამბები.

კინო

23 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (მე-2 დარბაზი და საზაფხულო), **საქართველო** (წითელი და მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო და საზაფხულო), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — თოჯინები იცინიან, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, კოლხიდა** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი** — მოკითხვამდე, **თბილისი** — მთელი ქვეყნის ოქრო, **კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, გაზაფხული, ნაკადული, დიდუბე** (საზამთრო), **ისანი** (საზაფხულო) — ჟურნალისტი რომიდან, **26 კომისრის სახელობის** (1-ლი დარბაზი), **კოლმეურნე, თანამგზავრი** — ორი ჯარისკაცი.

რადიო

24 ივნისი

პირველი პროგრამით

06.40 — ა. შავერზაშვილი. ფანტაზია ფორტეპიანოსათვის, 08.10 — კონცერტი — „ჩემი ქვეყნის სიმღერები", 09.20 — შვარცი. სიმფონია ფამინორი, 11.15 — კონცერტი შ. მშველიძის ნაწარმოებებიდან, 12.10 — საუბარი — „ქალთა მსოფლიო კონგრესი", 12. 25 — კონცერტი კამერული მუსიკის მოყვარულთათვის, 13.40 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 17.15 — ო. თაქთაქიშვილი. სიმფონიური პოემა „კლდე და მდინარე", 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — ქართული ხალხური საკრავების ანსამბლის კონცერტი, 18.45 — ქართული კამერული მუსიკა, 19.30 — ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „ოტელოს" ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან, 23.30 — „უკრავს მარინე გოგლიძე-მდივანი".

კომუნისტი
Комунисти
ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-98, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

უე 11503

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.